140
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

5
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართველოს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

# დეკლარაცია

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ

**საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც საქართველოს სსრ ხალხის სახელით მოქმედებს და მის სუვერენულ ნებას გამოხატავს, იღებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აცხადებს, რომ იგი ძალაში შედის 1978 წლის 15 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1978 წლის 15 აპრილი.

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი, დროშა



# იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

ტექსტი
ალ. აბაშელისა
და
გრ. აბაშიძისა

ახალი რედაქცია
გრ. აბაშიძისა

მუსიკა
ო. თაქთაქიშვილისა

I 5844




იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,
გმირთა კერა ხარ განახლებული,
დიად პარტიის ნათელი აზრით,
ლენინის სიბრძნით ამაღლებული.

შენი ოცნება ასრულდა,
რისთვისაც სისხლი ღვარეო,
მშრომელი კაცის მარჯვენით
აყვავებულო მხარეო.

დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა
შენ გაგინათეს მთები ჭაღარა,
თავისუფლებამ და შემართებამ
გადაგაქციეს მზიურ ბაღნარად.

მოძმე ერების ოჯახში
ამაღლდი, გაიხარეო,
მეგობრობით და გმირობით
გამარჯვებულო მხარეო.

უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი
აზრი, ხმალი და გამბედაობა,
დღეს საქართველოს ნათელ მომავალს
სჭედს ლენინური წრთობის თაობა.

კომუნიზმის მზე დაგნათის,
კაშკაშა, მოელვარეო,
იდიდე მრავალჟამიერ,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დაბადების 140 წელი

ას ორმოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, უდიდესი საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე. ამავე დროს გავიდა ას ოცი წელი მისი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან, ხოლო სამოცდაათი წელი — გარდაცვალებიდან.

სრული ორმოცდაათი წელი იღვაწა და იბრძოლა ილია ჭავჭავაძემ თავისი ქვეყნისა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ და ისეთი წარუშლელი კვალი დაამჩნია ერის სულიერი ცხოვრების ყოველ მხარეს, რომ ამ მხრივ ტოლი ძნელად მოეძებნება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე. ილია იყო ერის ნამდვილი სულიერი მამა, მოძღვარი და მასწავლებელი. მის მიერ არჩეულ გზას გაჰყვა მთელი თაობა თერგდალეულთა სახელით ცნობილი მოღვაწეებისა და ამ გზის არჩევანი სავსებით გაამართლა ჩვენი ქვეყნის შემდგომმა ისტორიამ.



საერთოდ, ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის ხოლმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტები, როცა ყველაზე მეტად საჭიროა გამჭრიახი მესაჭე ღრმა მორევისა თუ მკვეთრი მოსახვევის უხიფათოდ გადასალახავად. სწორედ ასეთი

# დიდი ილია

მესაჭის როლი დააკისრა ისტორიამ ილია ჭავჭავაძეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ეს იყო ეპოქა, როცა ჩვენი ქვეყანა თანდათან ადგებოდა კაპიტალისტური განვითარების გზას და სრულდებოდა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების დიდი ისტორიული პროცესი. ამ დროს საქართველოს უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა და მეფის რუსეთის კოლონიად იყო ქცეული. განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ხალხმა საკმაოდ შეიგრძნო და შეიცნო ახალი ცხოვრების როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები.

რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველმა ხალხმა, მართალია, დაკარგა დამოუკიდებლობა, მაგრამ სამაგიეროდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანდა მისი ყველა ნაწილი, მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ისტორიული მიწა-წყლისა, დიდი ხნის განმავლობაში მტრებს რომ ჰქონდათ მიტაცებული (მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, შავიზღვისპირეთი).

ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობა XIII-XVIII საუკუნეთა განმავლობაში დაახლოებით ხუთჯერ შემცირდა და ხალხი სრული გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთთან შეერთების შედეგად ეს საფრთხე მოისპო, ხალხი კვლავ მომრავლდა და ეკონომიურად მოღონიერდა. ქვეყანა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა. შემოვიდა ევროპული განათლების შუქი. ყოველივე ეს, ერთად აღებული, იყო ის სიკეთე, რაც შედეგად მოჰყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას.

მაგრამ მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმისა და დიდმპყრობელური, შოვინისტური პოლიტიკის პირობებში არსებობდა დიდი საშიშროება იმისა, რომ არ გამქრალიყო ეროვნული ერთიანობის შეგნება, ქართველი ხალხი არ დაშლილიყო წვრილ-წვრილ ეთნიკურ ერთეულებად და არ დაეკარგა საკუთარი ენა, მდიდარი კულტურა და ისტორიული ტრადიციები.

სწორედ ამ ეროვნული თვითმყოფა-

გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ც.კ.-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

5 მაისი 1978

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

დობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მედროშედ მოევლინა ქართველ ხალხს ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთელთან ერთად. ამავე დროს ილია იყო დაუცხრომელი მებრძოლი ბატონყმური რეჟიმის, სოციალური ჩაგვრისა და უსამართლობის, მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ილია იყო დიდი ჰუმანისტი, ინტერნაციონალისტი, ხალხთა თავისუფლებასა და თანასწორობაზე მეოცნებე განმანათლებელი. ყოველივე ამის გამო მან სიცოცხლეშივე მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და ხელთუქმნელი ძეგლი აიგო ხალხის გულში.

ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1857 წელს, როცა ის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ეროვნული თავისუფლების მოტივი, რომელიც ძირითადი და არსებითი გახდა საერთოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისათვის, თავიდანვე ძალუმად გაისმა ახალგაზრდა ილიას შემოქმედებაში. ამ თემას ეძღვნება, კერძოდ, სტუდენტობის პერიოდში დაწერილი ლექსები: ,,ქართვლის დედას‘‘, ,,ჩემი თარიალალი‘‘, ,,გავსწორდეთ, ბედო‘‘, ,,ნანა‘‘, ,,ელეგია‘‘, ,,მესმის, მესმის‘‘ და სხვანი. ამ ლექსებში სამშობლოს მდგომარეობა პოეტს მძიმე ფერებით აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ სწამს მისი ბედნიერი მომავალი, ხოლო ამ ბედნიერების მოსაპოვებლად საჭიროდ მიაჩნია ქვეყნის გამოფხიზლება ძილისაგან და შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ ერის საუკეთესო შვილები. სწორედ მათი მისამართით ამბობს პოეტი:

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

1860 წელს დაიწერა ილიას ღრმაშინაარსიანი ლექსი ,,პოეტი‘‘, რომელშიც ფორმულირებულია მომავალი დიდი ეროვნული მოღვაწის პოეტური მრწამსი:

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწვოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

ასე ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ილიამ თავისი, როგორც პოეტის, დანიშნულება მშობელი ხალხის წინაშე. მგოსანმა ქვეყნის წყლული საკუთარ ტკივილად გამოაცხადა და თავისი მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანად ერისათვის ტანჯვის ცრემლების მოწმენდა დაისახა.

ილიასათვის დამახასიათებელია, რომ იგი თავისი ეპოქის მკაცრი სინამდვილის მხილებასთან ერთად იძლევა ნათელი მომავლის პერსპექტივას, თანამემამულეებს ბრძოლისაკენ მოუწოდებს და ამავე დროს შთააგონებს, რომ ეს სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ
მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი
ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი
ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების
დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ
მოგიწყენია?

ეს ლექსი გამოქვეყნებისთანავე გავრცელდა ხალხის ფართო მასებში და დღესაც სასიმღეროდ არის ქცეული.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილია დაეწაფა გერცენის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ბელინსკის თხზულებებს, ეზიარა ამ გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პროგრესულ იდეებს და შემოქმედებითად გადამუშავებული სახით, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ტკივილებთან დაკავშირებული, გადასცა ეს იდეები ქართველ მკითხველს.

პოეტი შენატრის ,,კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას‘‘ და ქართველ დედას მოუწოდებს, ამ იდეებით აღზარდოს შვილი, ამ იდეებით აწრთოს მისი სული.

1861 წელს ილია დაბრუნდა საქართველოში. ბუნებრივია, პეტერბურგის მჩქეფარე და მღელვარე ცხოვრებასთან შედარებით სამშობლოს მაჯისცემა მას ძალზე სუსტი ეჩვენებოდა. აქ ყველაფერი ჯერ კიდევ ღრმა ძილში იყო. ყველაზე უფრო სავალალო და სამწუხარო კი იყო მარტოობის შეგრძნება, რამაც პოეტს ათქმევინა: ,,ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო‘‘. მაგრამ პოეტი ამის გამო სასოწარკვეთილებას არ მისცემია და სამშობლოს ერთგული სამსახურის განზრახვაზე ხელი არ აუღია:

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ
იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და
სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ
ქართვლის ბედმა,



ილიას სახლი საგურამოში

და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით
დავლიოთ დღენი.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ილია შეუდგა აქტიურ, უაღრესად ფართო და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მალე მის გარშემო დაირაზმა მთელი თაობა ახალგაზრდებისა, რომლებსაც განათლება ასევე რუსეთში ჰქონდათ მიღებული და რევოლუციონერ-დემოკრატთა მოწინავე იდეებით იყვნენ შთაგონებულნი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვანი. ამ თაობამ თავიდანვე უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა „მამების“ ბანაკს და სრული გადატრიალება მოახდინა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში.

როგორც ცნობილია, „მამათა“ და „შვილთა“ პირველი მწვავე შეტაკების საბაბად იქცა ი. ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის-მიერ „შეშლილის“ თარგმნაზედა“, კერძოდ, ის პოზიცია, რომელიც ავტორმა სალიტერატურო ენის საკითხში დაიკავა. ამ წერილში, რომელიც ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, ილიამ პირველად უკუაგდო ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი, მაგრამ შემდგომში უკვე ზედმეტად ქცეული ასოები. ორთოგრაფიის გამარტივებასთან ერთად მან გადაახალისა და ხალხის სასაუბრო მეტყველებას დაუახლოვა ენის ყველა მხარე: მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსური წყობა, ლექსიკა, მხატვრული საშუალებანი. „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო“ — ასე გამოკვეთილად ჩამოაყალიბა დიდმა მწერალმა ენის ხალხურობის პრინციპი და საბოლოოდ გააცამტვერა ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის“ თეორიაცა და მისი დამცველებიც.

დღევანდელი მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენიც კია, რა დღეში იყო იმ დროს ქართული სალიტერატურო ენა და რა უზარმაზარი საქმე გააკეთა ილია ჭავჭავაძემ. თუ რამდენად ახალი და უჩვეულო იყო ილიას ენა უფროსი თაობის არქაული და მძიმე ენის ფონზე, ამას კარგად გვაჩვენებს ის რეაქცია, რაც მისმა გამოსვლამ გამოიწვია. მაგრამ ილიამ საკადრისი პასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს და გაბედულად განაგრძო წინსვლა ერთხელვე არჩეული გზით, ხოლო როცა მას და მის თანამებრძოლებს „ენის წახდენა“ დააბრალეს, პირში მიახალა მათ:

ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა,
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა.
ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მივიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

ილიას ენობრივი მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს ჩვენ უკვე ადრე შევეხეთ ცალკე წერილში და ახლა ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. დავუბრუნდეთ ისევ მის მხატვრულ მემკვიდრეობას.

როგორც ვთქვით, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში თავიდანვე უმთავრესი ადგილი დაიკავა ეროვნული თავისუფლების მოტივმა. ლირიკასთან ერთად ეს მოტივი გამოხატულებას პოვებს ეპიკურ პოეზიაშიც, კერძოდ, პოემებში: „ქართვლის დედა“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „აჩრდილი“. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „აჩრდილი“, რომელიც ისეთივე საპროგრამო ხასიათის ნაწარმოებია პოეზიაში, როგორც პროზაში — „მგზავრის წერილები“. ორივე ნაწარმოებიდან მკითხველს ესმის ქართლის ბედზე დაფიქრებული დიდი პატრიოტის მძლავრი გულის ფეთქვა.

გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა მართებულად შენიშნა, რომ დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ თითქოს ერთიმეორის გაგრძელებაა და ერთ საკითხს დასტრიალებს თავს: „ამ სამ ნაწარმოებს აერთებს პრობლემათა ერთგვარობა და თავისებური პოეტიზირებული ისტორიზმი. მაინც ილია ჭავჭავაძის პოემაში, განსხვავებით თავისი წინამორბედებისაგან, სოციალური საკითხებიცაა დასმული და მძაფრად განხილული. „აჩრდილი“ ილიას სამოქალაქო მოტივების მატარებელი პოეზიის გვირგვინია“. პოეტმა „აჩრდილში“ დაგვიხატა იმდროინდელი ცხოვრების მწარე სინამდვილე, დაგვიხატა კლასობრივი ბრძოლის სურათები და აღიარა შრომის სუფევის აუცილებლობა:

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა
ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

ამრიგად, მწერალმა მშობლიური ქვეყნის აღორძინების იმედი შრომის თავისუფლეის, სოციალური უსამართლობის მოსპობის, ხალხთა ძმობისა და თანასწორობის იდეებს დაუკავშირა.

მთლიანად სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ არის მიმართული [illegible]მა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, მთელი რიგი ლექსები, მოთხრობები: „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვანი.

თუ პოეზიაში ილიას და მის თაობას უშუალო წინაპრებად ჰყავდათ ისეთი დიდი მწერლები, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, იმდროინდელი ქართული პროზა შედარებით მკრთალად გამოიყურებოდა. აქ ილიას ყამირის ტეხა მოუხდა მხატვრული ოსტატობის საკითხებშიც. ამ მხრივ პირველი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „გლახის ნაამბობი“, მიმართული ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, სადაც მწერალმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება.

სულ სხვა სტილით, მძაფრი სატირის ფორმით არის დაწერილი „კაცია-ადამიანი?!“ — ნაწარმოები, რომელიც იმავე სოციალურ წყლულებს აშიშვლებს და ქართველ მებატონეთა დეგრადირებული, გადაგვარებული კლასის ტიპიურ



წარმომადგენლებს გვიხატავს თვალწინ.

სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა ურთიერთობის საკითხს მწერალი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა „ოთარაანთ ქვრივში“ და გვიჩვენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას შედეგად არ მოჰყოლია სოციალური უსამართლობის მოსპობა, გლეხსა და თავადს შორის კვლავ ღრმა უფსკრული დარჩა. ამ უფსკრულის გაღმა-გამოღმა დგანან მოთხრობის გმირები: ერთი მხრივ — ოთარაანთ ქვრივი და მისი ვაჟი გიორგი, მეორე მხრივ — არჩილი და კესო. მათ ჭირსა და ლხინს ცალ-ცალკე ღობე ავლია, როგორც ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობს არჩილი. განათლებულმა მებატონემ ისიც იცის, რომ ნამდვილი ცხოვრება სწორედ გლეხკაცობაშია, ისაა ნამდვილი ძალა და ღონე ერის ცხოვრებისა, მაგრამ ამ „მონანიე აზნაურს“ არ შეუძლია იპოვოს სწორი გზა.

როცა ილია ჭავჭავაძის პროზაზე და კერძოდ მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მან პირველმა შექმნა ფართო მასშტაბის, განზოგადებული ტიპები, როგორიცაა ლუარსაბი, დარეჯანი, ოთარაანთ ქვრივი და სხვანი.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია არამც თუ განხილვა, უბრალო აღნიშვნაც კი ყველა იმ პრობლემისა, საკითხთა იმ მრავალფეროვანი წრისა, რომელთაც ეხება ილიას „მგზავრის წერილები“, სარჩობელაზედ“, „განდეგილი“, „ქართვლის დედა“, „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ და სხვანი.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ილია როგორც პუბლიცისტი.

სულ ახალი დაბრუნებული იყო ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან, როცა დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალმა მხოლოდ ერთი წელი იარსება, შემდეგ კი მეფის ცენზურამ მისი გამოცემა აკრძალა, მაგრამ დროის ასეთ მცირე მონაკვეთშიც მან უზარმაზარი როლი შეასრულა. ეს იყო პირველი ქართული ჟურნალი, რომელსაც მკაფიოდ გამოკვეთილი იდეური მიმართულება ჰქონდა და უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია დაუყოვნებლივ შეუდგა ზრუნვას ახალი პერიოდული ორგანოს გამოსაცემად, მაგრამ კარგა ხანს ამის საშუალება არ მიეცა.

1877 წლის იანვრიდან გამოსვლას იწყებს კვირეული გაზეთი „ივერია,“ რომელსაც ორი წლის შემდეგ ყოველთვიური ჟურნალის სახე მიეცა, 1886 წლის 1 იანვრიდან კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. იმ პერიოდისთვის ეს იყო ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი საქართველოში. ამ ორგანოს რედაქტორი მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში, 1877 წლიდან 1902 წლამდე, იყო ილია ჭავჭავაძე.

XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ილია არ გამოხმაურებოდეს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი ბრძოლა ქართული თეატრის განახლებისა და აღორძინებისათვის, ქართული ენის უფლებათა დაცვისათვის, კერძოდ, სკოლაში ქართულად სწავლების უფლებისათვის; ბრძოლა ქართველი ხალხის მტრების, შავრაზმელების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გაეყალბებინათ ჩვენი ისტორია და ფეხქვეშ გაეთელათ ხალხის ღირსება.

ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანთან ერთად, იყო ინიციატორი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული და კულტურული აღორძინების საქმეში. ილია იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარე წლების განმავლობაში. სხვათა შორის, საზოგადოება შეუდგა ძველი ქართული ხელნაწერებისა და სიძველეთა შეგროვებას, მოვლა-პატრონობას, რაც შემდგომში ქართული ეროვნული მუზეუმის შექმნის საფუძველი გახდა. ამავე საზოგადოებამ ითავა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებაც, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც ილია, ასევე აკაკი, ვაჟა-ფშაველა, პეტრე უმიკაშვილი და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

ილია აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემის მომზადებაში. ეს მდიდრული გამოცემა გამოვიდა 1888 წელს ზიჩის ილუსტრაციებით და დიდი როლი ითამაშა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის, ისე ქართველთა ეროვნული გრძნობების გაღვივების საქმეში.

1893 წელს წერა- კითხვის საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით განჯიდან თბილისში გადმოასვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. საყოველთაოდ ცნობილია ილიას ბრწყინვალე სიტყვა ამ ძვირფასი ნეშტის გადმოსვენების დროს გამართულ მიტინგზე.

ერთი სიტყვით, ამ მოკლე წერილში ძნელია ილია ჭავჭავაძის დიდი წვლილის სრულად აღნუსხვა, მისი მოღვაწეობის ყოველმხრივ შეფასება.

ქართველი ხალხის ეს დიდი ბურჯი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი მუხანათურად მოკლეს მეფის ოხრანკის აგენტებმა, ჩვენი ხალხის მოსისხლე მტრებმა. მისმა სიკვდილმა ყველას თავზარი დასცა, ყველა ერთბაშად შეაკრთო და გამოაფხიზლა. ასე რომ, თვით სიკვდილითაც კი ილიამ ხელი შეუწყო მშობლიური ხალხის ეროვნული შეგნების განმტკიცებასა და და აღაღლებას...

ილიას დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ ბრწყინვალე სიტყვაში აკაკი წერეთელმა ასე მიმართა თავისი დიდი თანამოძმის ცხედარს: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარ ნახავ!.. მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!“

ზურაბ ჭუმბურიძე
პროფესორი

## მშობლიური გზებით

ელენე დიდიმამიშვილი

მთებზე ცისკარმა ინათა,
აქ სიოც ტკბილზე ტკბილია...
უერთმანეთოდ ვინა სთქვას
საქართველო და ილია...

სითბო თან მდევდა დარაჯად,
რა გზაც კი შემომივლია...
კურთხეულ იყვნენ მარადჟამს
საქართველო და ილია...

გაყოფა რამ საძნელოა,
ერთი მადლი და სხივი აქვთ:
ილია საქართველოა
და საქართველო — ილია...

ურიცხვთა ომთა ამტანი,
ჯაჭვის პერანგში ზრდილია...
დგანან ვით ძმობის ლამპარნი —
საქართველო და ილია...



„წიწამურში რომ
მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა
გათავდა დიდი...“

გალაკტიონი

# საქართველოს გოლგოთა

**შვიდი** ათეული წლის წინათ, 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურში დასრულდა მეფის მთავრობის ბრძოლა ქართველი ხალხის საამაყო შვილის — ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

მთელ საქართველოში გრიგალივით გაისმა საზარელი ხმა — ილია მოუკლავთო! ეს სამწუხარო ცნობა ჩვენს დედაქალაქში „ისრის“ რედაქციამ დაგვიანებით მიიღო და რაკი გაზეთი უკვე აწყობილი იყო, რედაქციამ, სასწრაფოდ დასტამბა სამგლოვიარო განცხადებები: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“.

წიწამურის საზარელმა ტრაგედიამ თავზარი დასცა მშრომელ ხალხს, ერის სასიქადულო შვილს გლოვობდა მთელი ქვეყანა.

7 სექტემბერს, დილის 9 საათზე ილიას ცხედარი გამოასვენეს საგურამოს სახლიდან. გამოსათხოვარი სიტყვების შემდეგ კუბო ასწიეს გლეხებმა და პროცესია წიწამურისაკენ დაიძრა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ხალხი შეჩერდა იმ ადგილზე, სადაც ერის დიდ მოჭირნახულეს გაუგმირეს გული. დამწუხრებული პოეტის, იროდიონ ევდოშვილის წინადადებით გლეხებმა ის ადგილი მაშინვე ქვებით შემოფარგლეს.

სახელდახელოდ მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი. განსაკუთრებით დიდი გრძნობით წარმოთქვა სიტყვა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა.

წიწამური საქართველოს გოლგოთად[1] იქცა.

...წიწამურში მკვლელობის ადგილზე იმართებოდა პანაშვიდები, ლიტერატურული დილა-საღამოები... ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები გამოსულან სიტყვით, ილიას თანამედროვე საგურამოელ გლეხებს კეთილად გაუხსენებიათ დღენიადაგ მათთვის მზრუნველი და ქომაგი ადამიანი. მკვლელობის ადგილზე არაერთხელ მისულან ილიას თაყვანისმცემლები—ვაჟაფშაველა და მისი ძმები, იროდიონ ევდოშვილი, ივანე ჯავახიშვილი, შიო არაგვისპირელი, ილია წინამძღვრიშვილი და მრავალი სხვა.

„ყოველთვის, როცა კი მამაჩემსა და ბიძებს ქალაქში სამხედრო გზით მოუხდებოდათ წასვლა, — იგონებს ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი თამარი, — წიწამურში, ილიას მკვლელობის ადგილზე რამდენიმე წუთით ჩერდებოდნენ, გაასუფთავებდნენ იმ მიწას, ერთი-ორი ჭიქით შესანდობარს დალევდნენ და შემდეგ ცხენებით გაუდგებოდნენ გზას“.

პოეტი ირ. ევდოშვილი გულმხურვალედ თხოვდა საგურამოელ და წიწამურელ გლეხებს, გაფრთხილებოდნენ ილიასეულ კარმიდამოს, წმინდად შეენახათ ადგილი, სადაც დიდი ადამიანის სისხლი დაიღვარა.

დიდი მწერლის მეგობარმა ილია წინამძღვრიშვილმა გადაწყვიტა, თავისი სკოლის ძალებით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილზე აღემართა ხის მოზრდილი ჯვარი და მის გარშემო ადგილი ქვიტკირის კედლით შემოეფარგლა. ამასთან დაკავშირებით მან გეგმაც შეადგინა.

1908 წლის გაზეთ „ამირანში“ ვკითხულობთ:

„30 აგვისტოს სოფ. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წლისთავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. იმავე დღეს იქ, სადაც ვერაგულად მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, დაიდგმება დროებითი ხის ჯვარი.“

იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში ვკითხულობთ:

„...იმ ადგილას, სადაც მოკლეს მგოსანი, თავ. ესტ. ციციშვილის ინიციატივით დაიდგა დიდი ხის ჯვარი, რომელიც გაუკეთებიათ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელში. ჯვარი ჩამაგრებულია მუხის დიდ კუნძში, რომელიც მიწაშია ჩაფლული, გარშემო ქვიტკირის კედელი აქვს შემოვლებული.

პანაშვიდი გადაიხადეს მცხეთისა და წინამძღვრიანთკარის მღვდლებმა. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ“. იმავე წელს წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის მოსწავლეებმა შემოფარგლულ მიწაზე ვარდ-ყვავილები გააშენეს და დიდხანს მორიგეობდნენ მისი მოვლა-პატრონობისათვის.

დიდი მწერლის თაყვანისმცემლები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ ეს ადგილი უკეთესად მოწყობილიყო.

1. გოლგოთა მთაა ისრაელში, ქ. იერუსალიმთან ახლოს, სადაც რელიგიური გადმოცემით თითქოს ჯვარს აცვეს ქრისტე. გადატანითი მნიშვნელობით მას ტანჯვის გზას უწოდებენ.

1914 წელს ილია ჭავჭავაძის დამ ელ. ჭავჭავაძე-საგინაშვილმა და ნათესავმა კ. აფხაზმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცეს 700 მანეთი მკვლელობის ადგილზე ნიშის დასადგმელად და ყვარელში ილიასეული სახლ-კარის აღსადგენად.

1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ვკითხულობთ: „ილიას ტრაღიკულად გარდაცვალების მეცხრე წლისთავი შესრულდა წელს, 30 აგვისტოს. ამ დღეს წიწამურში, იმ ადგილას, სადაც ვერაგულად მოჰკლეს ილია, საქართველოს დიდი მოამაგე, ქშწკგ[1] საზოგადოების თაოსნობით გადახდილი იქნება პანაშვიდი. ამ დღისთვის წერა-კითხვის საზოგადოება მკვლელობის ადგილზე საგანგებო კვარცხლბეკს დასდგამს და ზედ აღმართავს რკინის ჯვარს, რომელიც უკვე შეკვეთილია“.

საზოგადოებამ ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა. წიწამურში დარჩა ხის ჯვარი, რომელიც დროთა განმავლობაში დაზიანდა და წაიქცა. დარჩა მხოლოდ მუხის ჯირკვი, რომელიც ეკალ-ბარდით დაიფარა.

1936 წელს მთელ საქართველოში გაიშალა მზადება, რათა მომავალი 1937 წლისთვის ფართოდ აღნიშნულიყო ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის იუბილე. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით გადაწყდა, რომ ილიას მკვლელობის ადგილზე ობელისკი დადგმულიყო. სამწუხაროდ, იმ დროისათვის მკვლელობის ადგილზე ჯვრის არავითარი ნიშანი აღარ არსებობდა და მთლიანად ის ადგილი ეკალ-ბარდს დაეფარა. კინორეჟისორ ალექსანდრე მამულაშვილის ხანგრძლივი და გულმოდგინე ძიების შემდეგ მიკვლეულ იქნა მიწით დაფარული მუხის ჯირკვი, რომელზედაც ადრე ხის ჯვარი იყო აღმართული. მალე საგულდაგულოდ გასუფთავდა ის ადგილი და დაიწყო მზადება ობელისკის დასადგმელად.

1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი.



ი. ჭავჭავაძის საფლავი მთაწმინდაზე

არქიტექტორმა მ. შავიშვილმა დავალება წარმატებით შეასრულა, მისი პროექტით წიწამურში, ილიას მკვლელობის ადგილზე, აღიმართა ობელისკი, რომლის პირამიდა შავი მარმარილოს კვარცხლბეკზე თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზეა აღმართული. პირამიდას ამშვენებს ილიას ბარელიეფი — ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანი სახელგანთქმული მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძისა. ბარელიეფის ქვემოთ დიდი მწერლის უკვდავი სიტყვებია წარწერილი:

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან
ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი
ვალი.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისა და მკვლელობის 30 წლის თავზე 1937 წლის 12 სექტემბერს (ძველი სტილით 30 აგვისტოს) წიწამურში საზეიმოდ გაიხსნა ახლად აღმართული ობელისკი.

1957 წლის ოქტომბერში ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლის თავთან დაკავშირებით საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით წიწამურში ჩატარდა ობელისკის შემოგარენის კეთილმოწყობა არქიტექტორ ვ. ნასარიძის პროექტის მიხედვით. ობელისკის ტერიტორია შემოიფარგლა ლითონის მხატვრულად გაფორმებული ღობით, ბაზალტითა და გრანიტით მოპირკეთებული მცირე საყრდენი კედლით, რომელიც ცენტრალურ თავშესაყარზე მთავრდება სადარბაზო შესასვლელით.

ობელისკის წინა მოედანი მოასფალტდა და იქვე ახლოს არქიტექტურულად გაფორმებულ ქვის თაღში გამოყვანილ იქნა წყარო. ობელისკის ტერიტორია დამშვენდა ვარდ-ყვავილებითა და მარადმწვანე მცენარეთა ნერგებით.

**შ. მარკოზაშვილი,**

ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

დილარ ივარდავა



## თვეთა ყვავილი

ცისფერ თვალებით,
თოთო ტუჩებით,
ბაგერძიანი დღეები მოდის, —
ჩემი ქალაქის დიდი ქუჩები
უჩუმრად ამსხვრევს ხმაურის
ლოდინს.
კრთება დღეების მკერდსავსეობა,
როგორც ფრთხიალი ფარშავანგების,
ქუჩა, ორღობე, ბარი, ხეობა
ივსება ზეცის ღვთიურ ჰანგებით!
·რბიან დღეები, როგორც ირმები,
უფრო ლამაზი წამთა წყურვილით
და დღეთა ზღვაში მეც ვიძირები
ფიქრით, ოცნებით, წვით და
სურვილით.
ვიძირები და უფრო ვმაღლდები
(დღეო, ამავსე შენზე გალობით!).
ჭექს და იმსხვრევა ზეცის თაღები,
მხოლოდ სიმაღლის დიდი წყალობით.
დღეო ხვალისავ, შენს შუქციაგში
ამეტყველდება მდუმარე ლოდიც, —
ვით სადღეგრძელო,
ვით ხვაშიადი,
თვეთა ყვავილი — მაისი მოდის!
·ისფერია ლაჟვარდის კიდე,
ისფერი და ზღვის ზვირთთა ფერი,—
მამულო ჩემო! ცოცხალ ვარ ვიდრე,
მე შენს ზეცას და მიწას ვუმღერი.
მაინც რა არის ამდენი ვარდი,
ერთად ამდენი დროშათა გაშლა,
დედამიწაზე დიდება დადის
და ამ სიყვარულს გულწრფელი ვაშა!
მიწაზე ახლა მწვანე ვერხვებიც
ტკბილ სიცოცხლეზე ამბავს ჰყვებიან,
მე მაისის მკერდს მკერდით ვეხები
და მასზე მეტად ვინ მყვარებია?!
სისხლი ძარღვებში დგაფუნობს
ტალღად,
სისხლი—მაისის დროშათა ფერი, —
ყოველი წუთი გვეწევა მაღლა
და მე მაისზე გულწრფელად
ვმღერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაბადრულები, მკლავგაშლილები ეგებებიან ბულგარელ სტუმრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნაციონალური კლუბის სიმბოლური ფორმით — თვითონ ბავშვების მიერ შექმნილი მოდელის ცისფერი კაბებით მორთული ბათუმის პირველი საშუალო სკოლის გოგონები და სასკოლო ფორმებში გამოწყობილი ბიჭები რიგრიგობით ეცნობოდნენ სტუმრებს. დროდადრო გაისმოდა საზეიმო შეძახილები. ჭექდა მუსიკა.

მალე სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთში აირივნენ. სიყვარულით ეხვეოდნენ ბულგარელი მშრომელები ქართველ მოსწავლეებს, ურიგებდნენ სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს, ბავშვებიც არ რჩებოდნენ ვალში, ყველას მიუძღვნეს სუვენირები, სამკერდე ნიშნები, ღია ბარათები საქართველოს ხედებით...

ბოლოს, სტუმრებიც და მასპინძლებიც სახელდახელოდ გამართული სცენის ირგვლივ შეიკრიბნენ და კონცერტიც დაიწყო. პირველად

# მათი ხმაც მისწვდება

ვინ მოთვლის, რამდენი გემი შემოსულა თვალწარმტაცი ბათუმის საქვეყნოდ ცნობილ ნავსადგურში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე, ვინ მოთვლის, რამდენი უცხოელი თუ საბჭოთა ტურისტი უნახავს ლელა დიასამიძეს, მათთან შეხვედრებშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ სცენაზე არასდროს გამოსულა.

იმ დღეს კი ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელმა ლეილა ჯაველიძემ უთხრა: დილით ნავსადგურში ბულგარეთის გემი შემოვიდა, ტურისტები ჩამოიყვანა. ჩვენმა კლუბმა გადაწყვიტა შეხვედრა მოუწყოს ბულგარელ მშრომელებს, და მოემზადეო.

— მე რა უნდა გავაკეთო? — გაკვირვებით იკითხა ლელამ და უმალ ენაზე იკბინა.

— ჩიტმა ამბავი მომიტანა, ლელას მხატვრული კითხვა ეხერხებაო. ჰოდა, აიღე ეს წიგნი, თავად შეარჩიე, რომელ ლექსს წაიკითხავ და შემატყობინე, — უთხრა მას ხელმძღვანელმა და პოეტ მუხრან მაჭავარიანის მიერ ნათარგმნი ბულგარელი პოეტების ლექსთა კრებული გადასცა.

რაღა უნდა ექნა?

ლექსის მხატვრული კითხვა მართლაც ეხერხება ლელას, მაგრამ უცხოელთა წინაშე გამოსვლა...

წესად ჰქონდა გოგონას ქცეული: სანამ გაკვეთილებს არ მოამზადებდა, სხვა წიგნს არ გაშლიდა. იმ დღეს პირველად დაარღვია ეს წესი. მივიდა თუ არა შინ, ბულგარელი პოეტების ლექსთა კრებული გადაშალა და სანამ ბოლომდე არ წაიკითხა, ვერ მოისვენა. მერე წიგნი ერთხელ კიდევ გადაფურცლა და ლექსიც შეარჩია...

მასწავლებელმა არჩევანი მოუწონა.

შეხვედრა ნავსადგურთან მოხდა, ღია ცის ქვეშ. მშვენიერი საღამო იყო. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ზღვიდან მონაბერი ნიავი საამოდ ელაციცებოდა შეკრებილთ.

ყველაფერი ზუსტად განსაზღვრული პროგრამით მიდიოდა, მერე ესტრადაზე... ექსტაზში შესულმა სტუმრებმაც მოინდომეს თავიანთი ხელოვნების ჩვენება და პროგრამაც დაირღვა. საღამო ბუნებრივად წარიმართა; თითქოსდა წლობით ერთად იყვნენო, ისე ესმოდათ ერთმანეთისა, ისე შეერწყა ორი მოძმე ხალხის შემოქმედება. მთელი საღამოს მანძილზე გაისმოდა მშვიდობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის დიდებული საგალობელი. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მეშვიდეკლასელი ინგა გოგიბერიძე და მეექვსეკლასელები ნონა ჯალაღანია, კახა შარაშიძე...

ახლაც რომ ჰკითხოთ, ვერ გეტყვით, როგორ აღმოჩნდა სცენაზე ლელა დიასამიძე. გაუბედავად, თითქმის ჩურჩულით დაიწყო ლექსის კითხვა, მერე თანდათან ხმას აუწია და დიდი რიხით დაამთავრა. ტაშისცემა არ ცხრებოდა. სახეგაბრწყინებული გოგონა დიდხანს უკრავდა თავს შეკრებილთ და სცენიდან გასვლას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახერხებდა. ბოლოს, ვიღაც ქალმა მკლავში ხელი მაგრად ჩაავლო და გაიყვანა.

უცნობი ბულგარელი აღმოჩნდა.

კარგა ხანს ისაუბრეს ლელამ და სტუმარმა იმ საღამოს. ბულგარელი მშვენივრად ფლობდა რუსულ ენას. მერე, სტუმარმა სოფელ მარტონოვის სკოლის IV კლასის მოსწავლის სვეტლანა დიმიტროვას მისამართი მისცა ლელას.

— სვეტლანას ძალიან უყვარს ქართველები და საქართველო, ოცნებობს თქვენთან ჩამოსვლაზე და კარგა ხანია აგროვებს ცნობებს საქართველოს შესახებ. ჰოდა, მისწერე წერილი, იმეგობრეთ! — უთხრა ლელას ბულგარელმა.

მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში შეიკრიბნენ ინგა, ლელა, ნორა, კახა...

— შენი გამოსვლა ყველას მოეწონა. მასწავლებელმა თქვა, ჩვენს კლუბს კიდევ ერთი კარგი შემსრულებელი შეემატაო, — უთხრა ლელას ინგამ.

— მშვენიერი დეკლამატორი ყოფილხარ. აბა შენ იცი! — მიმართა ნონამ.

— მაგას კიდევ შექეზება უნდა? ძლივს ჩამოიყვანეს სცენიდან. — სიცილით წარმოთქვა კახამ.

— ჰო, მართლა, რა მოგივიდა?

— რა ვიცი, ფეხები შემეკრა თითქოს.

— სულზე მოგისწრო იმ უცხოელმა.

— ვინ იყო?

— ტურისტი.

— ეგ ხომ უშენოდაც ვიცოდი. რაო, რა მინდაო?

—შენი კბილა გოგონა გვყავს, ძალიან უნდა ქართველ ბავშვებთან იმეგობროს, წერილი გაუგზავნეო.

— ადექი და შენც გაუგზავნე.

— ვერ მომიფიქრებია, უცნობს რა უნდა მივწერო.

— ინგას ჰკითხე, ასეთ საქმეებში დახელოვნებულია, — თქვა კახამ. — ერთდროულად სამ ჩეხთან აქვს მიწერ-მოწერა.

— სამთან კი არა, ოთხთან. შენ რა კუჭი გეწვის?

— მე არაფერი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— ჰოდა, ასე!

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ კახამ დაარღვია დუმილი:

— მომავალში რაღას ვაპირებთ, გოგოებო?

— ძალიან მალე ერთ ასეთ შეხვედრას კიდევ მოვაწყობთ. მერე კი... — აღარ გააგრძელა ნონამ.

— შენ რაღაც იცი. აბა ამოშაქრე.

— იმ დღეს ლეილა მასწავლებლის მაგიდაზე ჩვენი კლუბის სამუშაო გეგმას მოვკარი თვალი.

— თქვი მერე, გეგმა საიდუმლო ხომ არაა?

— ლეილა მასწავლებელმა თქვა, მალე ჩვენი კლუბის აქტივთან ერთად განვიხილავთ და დავამტკიცებთო.

— მაინც რა ეწერა?

— მალე შეხვედრა გვექნება გერმანელ ტურისტებთან, მერე მეგობრობის საღამოს მოვაწყობთ დევიზით: „დიდება, სამშობლოვ, შენ, თავისუფალო, ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ“! შემდეგ რევოლუციის მუზეუმში გვექნება შეკრება; შემდეგ ჩავატარებთ ინტერნაციონალური მეგობრობის დღეებს



ბათუმის პიონერთა პარკი ბავშვების უსაყვარლესი გასართობი ადგილია

დევიზით: „საბჭოეთის დიდ ოჯახში ბრწყინავს ჩვენი საქართველო“... — სხაპასხუპით ჩამოთვალა ნონამ.

— ყოჩაღ, ნონა! მთელი გეგმა არ ჩარჩენია მეხსიერებაში?

— კიდევ ბევრი რამ ეწერა, მაგრამ აღარ მაგონდება.

—ის არ ეწერა გეგმაში, 29 ნოემბერი კლუბის წევრთა შეკრების ტრადიციულ დღედ ვაქციოთო, ჩვენმა საპატიო პრეზიდენტმა, პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა რომ ბრძანა და დიდის ამბით დავადგინეთ?—იკითხა კახამ.

—როგორ არა! ჰო, მართლა, რაც მთავარია, მავიწყდებოდა, გეგმით აღნიშნულია: კუბაში ახლგაზრდობისა და სტუდენტთა XI საერთაშორისო ფესტივალისათვის მზადება, და ქვევით წითელი ფანქრით ხაზი აქვს გასმული.

—ეგ ხომ ერთი თვის წინათ გვითხრა ლეილა მასწავლებელმა. ფესტივალი ძალიან ფართოდ აღინიშნება, ჩვენც მრავალი ღონისძიება უნდა განვახორციელოთ და თქვენი წინადადებები წარმოგვიდგინოთო.

— მერედა მოიფიქრეთ რაიმე? — იკითხა ინგამ.

— მე მაქვს ერთი წინადადება. — ჩაილაპარაკა ნონამ.

— ჩვენ არ გვეტყვი?

— რატომაც არა. ფესტივალის დღეებში ჩავატაროთ საღამო დევიზით „ჩვენი ხმა ახალგაზრდობის ფესტივალს“.

— მე მეგონა რაღაც ახალს იტყოდი, — აღარ აცალა კახამ.—ეგ ხომ თავისთავად ცხადია.

— დაიცა, არ დამიმთავრებია. ეს საღამო მე სხვანაირად, გრანდიოზულად მესახება. საღამოზე ჩვენი კლუბის უკლებლივ ყველა, 149-ვე წევრმა უნდა თქვას თავისი სიტყვა და, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოჩნდეს კუბის ცხოვრება, მისი ბედნიერი აწმყო და მომავალი.

— ეს ნიშნავს, რომ კუბის შესახებ ყველაფერი ძალიან კარგად ვიცოდეთ. მე კი, რა დასამალია და, ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს.

— მართალია. ბევრი რამ მსმენია კუბაზე — თავისუფლების კუნძულიო, გმირი კუბელი ხალხიო, პირველი სოციალისტური ქვეყანა ამერიკის კონტინენტზეო... მაგრამ საღამოს მოსაწყობად სულ სხვა რამე იქნება საჭირო.

— მაინც რა?

— კუბელი ხალხის ხელოვნების, მისი ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცოდნა.

— ჰოდა, მოვიწვიოთ სპეციალისტი, რომელიც კიდეც გაგვაცნობს კუბას და საჭირო კონსულტაციასაც გაგვიწევს.

— კეთილი. კიდევ რა გავაკეთოთ? აბა, ლელა, შენ რას იტყვი? — ჩაერია ინგა.

— ფესტივალთან დაკავშირებით შევქმნათ ალბომი და გამოვუშვათ სტენდი.

— ძალიან კარგი. მოდით, ეს ყველაფერი ჩამოვწეროთ და ლეილა მასწავლებელს ვაჩვენოთ, — თქვა ინგამ და წერას შეუდგა.

— მეც მაქვს ერთი ჩანაფიქრი,— ჩაილაპარაკა კახამ, — ოღონდ, ჯერ კარგად არ ვიცი, გამომივა თუ არა.

— შენ რაღაც უცნაურს მოიფიქრებდი.

— მოდით, ჩვენი სკოლის ეზოში ზოგი ისეთი ჯიშის ნერგი დავრგოთ და ვახაროთ, რომელიც კუბაში ხარობს.

— სად უნდა ვიშოვოთ ასეთი ჯიშის ხე?

— კახას მივანდოთ. მამამისი ბაღში მუშაობს და...

— მაშინ, ალბათ, შერჩეულიც ექნება.

— მართალი გითხრათ, ეს აზრი ახლა გამიჩნდა.

— კარგი ჩანაფიქრია, კიდევ რას იტყვით.

— კიდევ? მოდი, დანარჩენებზე სხვებმა იფიქრონ.

ლეილა მასწავლებელმა ბავშვების წინადადებები მოიწონა, შესრულების ვადები გაანაწილა და საქმესაც შეუდგნენ.

პირველად კუბის შესახებ საუბარი მოისმინეს. საუბარში აქტიურად მონაწილეობდნენ თვითონ კლუბის წევრები.

საუბარი გვიანობამდე გაგრძელდა. ბევრი რამ გაიგეს ბავშვებმა იმ დღეს კუბაზე, კუბელ ხალხზე, თავიანთ კუბელ თანატოლებზე და ფესტივალის უდიდეს მნიშვნელობაზე ხალხთა ურთიერთ დამეგობრებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. ბოლოს გადაწყვიტეს ასეთი საუბრები კვლავაც მოეწყოთ, კუბელ პიონერებთან კავშირი დაემყარებინათ და ამით თავიანთი ხმაც მიეწვდინათ ფესტივალის მონაწილეებისათვის იმ საზეიმო დღეებში.

გიგლა აბდალაძე

ფოტო
ვ. ბორისენკოსი



მეგობართათვის გასაგზავნი სუვენირები

— შევქმნათ ალბომი კუბის ხედებით, გამოვუშვათ სტენდი,— ამბობს ინგა გოგიბერიძე და ბლოკნოტში ინიშნავს ლელას წინადადებებს.





# მერცხლები ბუდეებს უბრუნდებიან

დიმიტრი ლობჟანიძე

მხატვარი გიორგი ქლიბაძე

მოთხრობა

— რა უნდა გეთქვა? — წამოიძახა ბოლოს შემკრთალმა.
— არაფერი... — რის თქმაც მინდოდა, ვერ ვუთხარი, და, რაც ენაზე მომადგა, ის ამოვთქვი. — ეს... ეს რკინა რისთვის უნდა ბაბუაშენს?
— აბა რა ვიცი.
— ამ რკინას, რომ მოვინდომო, თასმასავით დავგრეხ!
— ამსიმსხო რკინას?
— ჰო.
— არა მჯერა!
— აი, თუ არა გჯერა! — ცერისსიმსხო რკინა თასმასავით არ დამიგრეხია, მაგრამ ნალივით კი მოვღუნე. ამასობაში გარედან ფეხის ხმა მოგვესმა, ორივენი შევკრთით.
მე საბა მჭედელი მეგონა, კარში კი გივი და ოთარა ჩამოეყუდნენ. ორივეს ხელში გამოსაკვერი ცულები ეჭირა...
— ოჰო, ჩვენ სად ვეძებდით და ეს სად ყოფილა! — ჩაიცინა გივიმ და ოთარას თვალი ჩაუკრა.

...მეორე დღეს რიჟრაჟდებოდა, რომ გამეღვიძა. ფანჯრის ფარდა გადავწიე და გარეთ გავიხედე. ორჯამის წვერზე უკანასკნელი ვარსკვლავი ქრებოდა. ხეობაში დილის მკრთალი ნისლი იწვა და რაღაცნაირ ზღაპრულ სანახაობას ქმნიდა.
საწოლიდან გადმოვხტი და პირის დასაბანად გავიქეცი.
ცინცხალი დილა დგებოდა.
შინ რომ შევბრუნდი, ბაბუას უკვე გაემზადებინა საუზმე.
ის იყო ცოტა წავიხემსე, რომ გივის ხმაც მომესმა:
— მამუკა, გძინავს?!
— შემოდით! — გავძახე.
— რა დროს შემოსვლაა. სანამ ჩვენ ადგილზე მივალთ, შუადღე გახდება!
გარეთ გამოვედი. ბაბუა უკან გამომყვა, საგზალი მომცა და თან დარიგებაც მოაყოლა:
— სანამ შეეჩვეოდე, ცულის ტარს მაგრად ნუ მოუჭერ ხელს, თორემ ხელისგული დაგიწყლულდება, ოფლიანზე დაუსვენებლად ცივ წყალს ნუ დალევ.
— კი, ბაბუა, კი, — დავაიმედე და ეზოში ჩავედი.
— აბა, წავედით! — თქვა გივიმ და წინ გაგვიძღვა მე და ოთარას.
მალე სოფელს გავცდით.
მდინარეს ცივი ქარი ასდევნებოდა და ცხვირსა და ყურებს გვისუსხავდა.
გზიდან გადავუხვიეთ და ტყეში შევედით.
გაყვითლებული ფოთლები სქლად ეგო მიწაზე. ტოტებგანიერი, მაღალი წიფლები ტანგამართული იდგნენ და მდუმარედ შესცქეროდნენ შემოდგომის ჯანგატეხილ მზეს. მდინარის ხმაური ფეხდაფეხ მოგვყვებოდა. რაც ღრმად შევდიოდით, ტყე ხშირდებოდა და სინათლეს უჭირდა წიფლნარში შემოსვლა.
— შორს სადღა მივდივართ, აქ მოვჭრათ, — თქვა ოთარამ, როცა ტყეკაფად გამოყოფილ მთაზე ავედით. — საქანელიც ახლოა, საურმეზე ადვილად ჩავყრით მორებს.
ოთარას რჩევა ჭკუაში დაგვიჯდა. ჩამოვჯექით და ცოტა დავისვენეთ. მერე გივი წამოდგა და ბრძანება გასცა.
— დავიწყოთ!
მე და ოთარამაც ცულები ავიღეთ და უკან მივყევით გივის. გივიმ „ბრიგადირობა" იკისრა და დაგვარიგა: — ხე რომ წასაქცევად დაიწყებს წიწკინს, ერთიმეორის გაფრთხილება არ დაგავიწყდეთ! — იგი ქვემოდან მოექცა ლარივით სწორ წიფელს და ჭრა დაუწყო.
ჩემი ცულის ყოველ შემოკვრაზე ხე ირწეოდა და ცოცხალივით კვნესოდა. შუამდე რომ ჩავჭერი, გამიჭირდა — ნაჭრელი შევიწროვდა.
— სანაფოტე გაუდიდე, — მირჩია გივიმ.
ვეება წიფელმა ტანდაკორძილ რცხილას ტოტები დაასხიპა და გივის მოჭრილი ხე კვნესა-ხმაურით განერთხა მიწაზე. მოჭრილის ადგილას ცა გამოჩნდა და მზემ ცალი თვალით ჩამოიხედა.
დამფრთხალი ჩიტები ჟივილით გადაიკარგნენ იქიდან.
— უტიეთ! — იყვირა ოთარამაც. მისი მოჭრილი ხე წიწკინით წამოვიდა და ჩემს მიერ ნახევრად გადაჭრილი წიფელიც ქვეშ მოიტანა.
ცულმა მიხამა და ხელისგულებზე ბუშტუკები დამაჯდა. რამდენიმე გასკდა კიდეც, შიგ ჩამდგარი სითხე გამოიღვარა და კანი ამეთქლიშა. მტკიოდა, მაგრამ არ გამიმხელია.
ხევბქვეშ ჩრდილები დაგრძელდა და შემოდგომის მზე თავქვე დაგორდა.
—ახლა ვჭამოთ, თორემ მოვკვდი კაცი! — იყვირა გივიმ და თავისი ხის გასხეპას რომ მორჩა, ჩემკენ გადმოვიდა.
— ოთარა, წყალი ამოიტანე, მანამდე მე და მამუკა მოვრჩებით გასხიპვას, — უთხრა გივიმ ოთარას და ჩემს მოჭრილ ხეს წვერი წააჭრა.

---

დასასრული. იხ. „პიონერი" № 4.

ოთარამ მათარა აიღო და ვეძის მოსატანად წავიდა. მე შენ გეტყვი და, შორს დასჭირდება ვეძაზე წასვლა. ჩვენს მთებში ყოველ ნაბიჯზე ან ვეძა ამოჩუხჩუხებს, ან ანკარა წყარო მორაკრაკებს. გივიმ გაზეთი გაშალა და სალომე ბებიას გამოტანებული მრგვლად მოხარშული დედალი და ხაჭაპურები ამოალაგა. მეც ამოვიღე საგზალი.

ოთარამ ვეძით სავსე მათარა მიწაზე დააგდო, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ქათამს ბარკალი აახლიჩა.

მუშაობით დაღლილები ტკბილად ვილუკმებოდით.

ნაშუადღევს წაქცეული ხეები ამოვმორეთ და ტყიდან სამანქანო გზაზე გადმოვყარეთ.

როგორ შემოგვაღამდა, არ გაგვიგია. საქმეს რომ მოვრჩით, მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ ტყეში უჩუმრად შემოპარული ბინდი.

სასწრაფოდ სამანქანო გზისაკენ დავეშვით.

ვაკეზე ჩამოსულებს ყვირილი მოგვესმა.

მივაყურადეთ.

ყვირილი ისევ განმეორდა: გასაჭირში ჩავარდნილი კაცი მშველელს უხმობდა.

აქეთ პაპუნა ძიას სახლი იყო. სოფელმა რომ სხვადასხვა მხარეს იწყო გახიზვნა-გადახვეწა, პაპუნა ძიას მეზობლები შემოექსაქსნენ და სოფლის განაპირას აგებული მისი სახლი უმეზობლოდ დარჩა. ხმა სწორედ ამ სახლიდან გამოდიოდა. სულმოუთქმელად ავირბინეთ აღმართი.

კარი რომ შევაღეთ, პაპუნა ძია იატაკზე იწვა და კვნესოდა.

— პაპუნა ძია, რა მოხდა? — ჰკითხა გივიმ.

— ფეხი, შვილო, ფეხი მოვიტეხე წუხელ, სიბნელეში კიბიდან გადმოვვარდი. შინ რის ვაი-ვაგლახით შემოვფორთხდი. მთელი დღე უპატრონოდ ვაგდივარ. ლამის ხმა ჩამიწყდა ყვირილისაგან, მაგრამ აბა ვის გავაგონებდი! კიდევ კარგი, თქვენ გაიგონეთ, თორემ ალბათ ისე ამომხდებოდა სული, გულზე ხელების დამკრები არ მეყოლებოდა.

ქოხის კუთხეში ძველი ტახტი იდგა. პაპუნა ძია ამ ტახტზე დავაწვინეთ.

გარედან ფიცრისა და მესრის ნამტვრევები შემოვიტანეთ და ცეცხლი გავაჩაღეთ. ქოხში სითბო დატრიალდა.

ავადმყოფს სახე გაფითრებოდა, სიმწრისაგან ტუჩი მოეკვნიტა და შემხმარი სისხლი აჩნდა.

ტკივილმა შეაწუხა და კვნესას უმატა.

ფრთხილად გავაძვრეთ ფეხსაცმელი. კოჭსზემოთ ფეხი გასივებული და ჩალურჯებული ჰქონდა. „რა ვქნათ? ამას დროზე მიხედვა სჭირდება, ჩვენ კი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია", — გავიფიქრე.

— სოფელში წავალ, ექიმს შევატყობინებ, თორემ დილამდე დიდი დროა, — ვთქვი და კარისაკენ წავედი.

— მამუკა, მთის ძირას კოლექტივის ფერმაა, მწყემსებთან მიდი, ცხენს გათხოვებენ, უფრო სწრაფად ივლი, — მირჩია გივიმ.

— აგრე ვიზამ, — დავტოვე პასუხი და გარეთ გამოვედი. ბნელოდა.

... სოფელში თქარათქურით შევაგდე ცხენი.

ყეფით დადევნებული ძაღლები ღობეზე გადმოხტომას ვერ ასწრებდნენ, რომ უკვე სხვა შუკაში მივქროდი. ოღროჩოღრო გზას არაფრად ვაგდებდი, სიბნელეს არ ვეპუებოდი. ვიცოდი, ახლა ჩემს სიჩქარეზე იყო დამოკიდებული პაპუნა ძიას გადარჩენა, ჩემს სიჩქარეზე და საქმეში ექიმის დროულად ჩარევაზე. ჭიშკარზე მოურიდებლად დავაბრახუნე. ოთახში სინათლე აინთო და ფანჯარაში ქალის ჭაღარა თავი გამოჩნდა.

— ვინა ხარ? — შეშინებული ხმით გადმომძახა მოხუცმა დიასახლისმა.

— მამუკა ვარ!

— ვინ მამუკა? — ვერ მიცნო.

— ფარსმან ბაბუასი.

— შემაშინე, შე კაცო. რა ამბავია?!

— ვაჟა ექიმი შინ არის?!



— ვაჟა ექიმი, შვილო, წავიდა! — სამძიმარს რომ ეტყვიან ჭირისუფალს მეზობლები, ისე მითხრა ექიმის დიასახლისმა, წავიდაო. — ბაბუაშენი ფარსმანი ხომ არ არის ცუდად?

— არა, ბაბუა კარგად არის. სად წავიდა ექიმი, ავადმყოფთან?

— არა, რის ავადმყოფთან! დილით ფოსტალიონმა რაღაც ქაღალდი მოუტანა, რომ წაიკითხა, თქვა, ასეც ვიცოდი, ან აქამდე როგორ დამტოვესო, ჩაალაგა ბარგი ჩემოდანში, დამემშვიდობა და წავიდა.

— რაო, რა თქვა, როდის დავბრუნდებიო?

— რაღას დაბრუნდება, აკი გითხარი, სულ წავიდა-მეთქი. არ იტყვი მაინც, რა მოხდა?!

— პაპუნა ძიამ ფეხი მოიტეხა.

— უი, მომიკვდეს თავი! მერე, ახლა რას აპირებ?!

— რას უნდა ვაპირებდე, ღებს წავალ და ნოე ექიმს შევატყობინებ, — ვთქვი და ცხენს მოვახტი.

... ღებს ღრმა ძილით ეძინა.

ვიცოდი, ნოე ექიმი სადაც ცხოვრობდა. ორი თვის წინ ბაბუას ვახლდი მასთან და ახლა სულაც არ გამჭირვებია მიგნება.

კარი თვითონ ნოე ექიმმა გამიღო და შინ შემიწვია.

— კიდევ ხომ არავინ დატორა დათვმა? — მკითხა, ოთახში რომ შევედით.

მე დავიბენი და უხერხულად შევიშმუშნე.

— საიდან მოდიხარ?

ვუთხარი, საიდანაც მოვდიოდი.

— მე კი გლოლიდან ამოსული მეგონე. გუშინწინ ერთი გლოლელი მონადირე დათვს გადაყრია და შებმია. მოუკლავს, მაგრამ თვითონაც მაგრად იყო ნაბეგვი. ძლივს გადავარჩინე. იმის ბიჭს მიგამსგავსე. ჰო, შენ ტყუილ-უბრალოდ ჩვეშოდან აქ არ მოხვიდოდი, აბა, მიამბე, რა მოხდა?

მეც ყველაფერი ვუამბე.

ნოე ექიმი მაშინვე დატრიალდა, კარადიდან ზურგჩანთა გამოიღო, საოჯახო აფთიაქი გახსნა. იოდი, ბამბა, ბინტი, სპირტიანი ბოთლი, შპრიცი ზურგჩანთაში ჩაალაგა.

ქუჩაში რომ გამოვედით, მკითხა:

— ფეხმალი ცხენია?

— კი.

— მაშ, ვიჩქაროთ, — თქვა ნოე ექიმმა და თავის ცხენს გავაზე წკეპლა გადაჰკრა.

... ერთი კვირის შემდეგ ვინახულეთ მე და ბაბუამ პაპუნა ძია. ტკივილები აღარ აწუხებდა, მაგრამ ფეხზე ადგომამდე ჯერ შორს იყო. ნოე ექიმი ყურადღებას არ მაკლებს, მაგრამ უმეზობლოდ დარჩენილი ლამის გამოვყრუვდეო, — ჩიოდა.

შთალის წვერზე რომ მზის სხივი დაწრტა და საღამოს ბინდი ხეობას ორბის ფრთასავით დაეცა, ბაბუა დაჰპირდა, ამ დღეებში კვლავ გინახულებთ და წამოვედით.

გზად ქვაციხურას გამოვუარეთ.

ქვაციხურა ჩვენს სოფელში ერთ-ერთ უბანს ჰქვია. ყველაზე მეტი ხალხი აქიდან აიყარა და ახლა იქ ათიოდე კომლიღა სახლობს. სოფელზე გულაცრუებულები ალბათ ისინიც მალე მიატოვებენ მამა-პაპეულ სახლსა და ჭერს.

თემშარაზე გადავიარეთ. პატრონებგაკრეფილი სახლები მგლოვიარეებსავით დაყუდებულან. ჰაი-ჰარად კარგამოხურულ, უპატრონოდ მიტოვებულ ბინებში სევდას და სიცივეს დაუსადგურებია. ყველაფერს დასტყობია უპატრონობა: გზა ნაგზაურად ქცეულა, ნაყანები გაველურებულა, სახლებს შორის ნაბილიკარებს შამბი მოსდებია. ადამიანის ფეხი რომ აღარ ხვდება, ჭინჭარს თავისუფლება უგრძვნია და ზედ თამამად გადაუვლია. ეზოებს ბალახი წამოსძალებია, ზოგიერთი სახლის სახურავი ჩამპალა და ჩამოშლილა; კედლები დამსკდარა, მორღვეულა, გვერდზე გადაწოლილა და ქვის გროვად და ჭინჭარ-ბალახის სამემკვიდროდ ქცეულა. ბაბუამ თვალი შეავლო დაზიანებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ლიბომოუშლელ ბინებს და მითხრა:

— ეს სახლები ამ ზამთარს რომ ასე დარჩეს, გაზაფხულამდე შიშველი კედლების მეტი არაფერი დარჩება. ამ დღეებში მე და შენ დრო უნდა გამოვნახოთ და ისინი მაინც შევაკეთოთ, ყველაზე მეტად რომ უჭირთ.

— შიგ ხალხი აღარ ცხოვრობს, ბაბუა, და რად გვინდა, რომ შევაკეთოთ? — ვკითხე მე.

— ახლა არ ცხოვრობენ, მაგრამ მერე იცხოვრებენ. თუ ოდესმე ამ სახლების პატრონებმა უკან დაბრუნება გადაწყვიტეს, ბინა რომ დაუზიანებელ-დაურღვეველი დახვდებათ, მამაპაპურ კერაზე საცხოვრებლად გული უფრო ადვილად მოუბრუნდებათ.

შორიდან დავინახეთ, ჩვენს სახლში სინათლე ენთო.

— მამუკა, შუქი შენ დაგრჩა ჩართული? — მკითხა ბაბუამ.

— არა, ბაბუა, შუქისთვის მე ხელი არ მიხლია.

— აბა მაშ ვიღაც სტუმარი გვწვევია, — დაასკვნა მან და ფეხს ავუჩქარეთ.

— ეს სახლ-კარი რომ უმეთვალყუროდ დაგიგდიათ და თქვენ სადღაც წასულხართ, გაქურდვის მაინც არ გეშინიათ? — სიცილით მოგვაძახა ეზოში შესულებს აივანზე გადმომდგარმა მამაჩემმა.

— განა აქაც ქალაქია! ჩვეშოს რომ ქურდს და ხელმრუდ კაცს ეცხოვრა, ეს არც წარსულში ახსოვს ვინმეს და არც ჩვენს დროში ყოფილა, ხოლო თუ უცხო ვინმე ამსიგრძე ხეობას პირაღმა იმისათვის ამოივლის, ჩვეშოს ვიქურდოო, შევარცხვინე მისი კაცობა! — უმალვე შეაგება პასუხი ბაბუამ.

— მამა! — ვიყვირე გახარებულმა და მისკენ გავიქეცი.

— ხედავ, კაცო, ეს რამხელა ბიჭი გამხდარა?! ქუჩაში რომ სადმე შემხვედროდა, იქნებ, ღვიძლი შვილი ვეღარც კი მეცნო, — სიცილით თქვა მამამ და გადამკოცნა.

— იცნობდი! შენ თუ ვერ იცნობდი, ეს თვითონ გიცნობდა. ჩვენს გვარში აქამდე არასოდეს ყოფილა, მამას შვილი ან შვილს მამა ვერ ეცნო! — ჯიბრითა და სიამაყით უთხრა ბაბუამ. მამა და ბაბუა ერთმანეთს გადაეხვივნენ.

შინ რომ შევედით, ბაბუა უმალვე სუფრის გასაწყობად დატრიალდა.

მამა მაგიდასთან იჯდა, მე გვერდით ვუდექი.

— კაცო, ასე რატომ დაგვივიწყე, არ მოგენატრეთ? მზიამ დამაბარა, უთუოდ ჩამოიყვანეო. წამოხვალ?

მზია ჩემი უფროსი დაა.

— არდადეგებზე წამოვალ. ასე ვართ მოლაპარაკებული მე და ბაბუა.

მამა მოიღუშა.

— არდადეგებზე კი არა, ხვალვე უნდა დავბრუნდე რუსთავში და შენც თან წაგიყვან.

— ხვალ?

— ჰო, რა იყო?

— არაფერი, მაგრამ მერე სკოლა?

— რა სკოლა, რუსთავში სკოლების მეტი რა არის, იქ ისწავლი. მოემზადე, ხვალ დილით ადრიანად წავალთ.

— ბაბუა ფარსმანიც წამოვა?

— წამოვა, — დამიდასტურა მამამ.

— მაშ, აბა, მე ბიჭებს მოვინახულებ, დავემშვიდობები, — ვუთხარი და კარისკენ წავედი. ამ დროს ბაბუა გამოვიდა მეორე ოთახიდან.

— სად მიხვალ, მამუკა?! — მკითხა მან.

— ბიჭებს ვნახავ და მოვალ.

— ვინ ბიჭებს?

— გივის, ტიტეს, ოთარას...

— რა გინდა გივისთან და ტიტესთან ამ შუაღამისას?

— რა შუაღამეა, ახლა არ დაღამდა? — ვთქვი და კარი გავიხურე.

... შინ რომ დავბრუნდი, მამა და ბაბუა სუფრას უსხდნენ და უხმოდ შეექცეოდნენ ვახშამს. შევატყვე, უგუნებოდ იყვნენ.

მეც სუფრას მივუჯექი.

გარეთ კუნაპეტი ღამე იყო. ცაზე გამოშლილი შავი ღრუბლები კიდევ უფრო აბნელებდნენ არემარეს.

რამდენჯერმე ზედიზედ გაიელვა, მეხმაც იჭექა და მალე ისეთი თავსხმა წამოვიდა, წვიმა კი არა, უფრო ღვარცოფი იყო. ხეობა ბრდღვინავდა, ჩვეშურას გრგვინვა ისე ისმოდა, ასე მეგონა, ჩვენი სახლი მყარზე კი არა, ხიდივით ხეობის შუაგულზე დგას, ნიაღვარი ძირს გაუდის და სადაცაა მოგვწყდება და წაგვლეკავს-მეთქი.

გაწვიმდა თუ არა, ქვესადგურიდან დენი გამორთეს და სოფელში მაშინვე ლამპები აციაგდა.

ჩვენც ლამპა ავანთეთ.

ვივახშმე და, თუმცა არ მეძინებოდა, უხმოდ შევწექი ლო-



გინში. ვახშმობას რა ხანია მორჩნენ მამა და ბაბუაც, მაგრამ არც ერთი ადგომასა და დაძინებას არ ჩქარობდა. მაგიდის სხვადასხვა მხარეს ისხდნენ და ჯიუტად დადუმებულები კრინტს არ სძრავდნენ.

მამა იდაყვით დაყრდნობოდა მაგიდის კიდეს და ასანთის კოლოფს აწვალებდა.

მე გატრუნული ვიწექი ლოგინში.

ბოლოს მამას, ეტყობა, მოსწყინდა ასე გაუნძრევლად ჯდომა. ასანთის კოლოფი ბრაზით დააგდო მაგიდაზე, ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, სოფელს გახედა და უკმაყოფილოდ თქვა:

— ამ დასაქცევში სულ რავა უნდა წვიმდეს და თოვდეს! გადაღებას აღარ აპირებს?

— გადაიღებს, აბა, მიდღემჩი ასე ხომ არ იქნება, შე კაცო. ამაღამ იწვიმებს, სამაგიეროდ ხვალ ისეთი კაშკაშა მზე ამოჩახჩახდება, მსგავსი ქვეყნად რომ არ ნახულა! — სცადა მამაჩემის დამშვიდება ბაბუამ.

— ეს ისეთ წვიმას არა ჰგავს, ხვალ რომ გამოიდაროს. ვერ ხედავ, ცა ფეხად მოდის! — თითქოს ბაბუა ფარსმანი ყოფილიყოს დამნაშავე, ისე უსაყვედურა მამამ ბაბუაჩემს და ფანჯარას მოსცილდა.

— არ გამოიდარებს, შვილო, და ნუ გამოიდარებს! ბუნებას სანამდეც არ მოსწყინდება, მანამდე იბობოქროს. თავზე ხომ არ გვაწვიმს. ამ ცამ რომ სულ ჩვენს წინააღმდეგ შეკრას პირი, ეს სახლი ისე მტკიცედაა ნაგები, ვერაფერს დააკლებს.

— შეიძლება ამ სახლს უფრო ძლიერმა ქარწვიმამაც ვერაფერი დააკლოს, მაგრამ სახლის სიმაგრე რა ბედენაა, კაცი სულ მუდამ შინ ხომ არ იჯდება!

— შენც ნუ დაჯდები სულ მუდამ სახლში. საქმეს როცა მორჩები, ადექი და სოფელში გადი. სანახშოზე გამოულევლად არის ხალხი.

სანახშო ხალხის თავშესაყარ ადგილს ჰქვია ჩემს სოფელში. უქმე დღეს და თავისუფალ დროს დიდი და პატარა იქ იკრიბება.

— სანახშოზე ხალხს რა გააჩერებს, როცა ასე წვიმს?!

— სულ მუდამ ხომ არ წვიმს.

— აქ სულ მუდამ წვიმს გაზაფხულიდან დაზამთრებამდის. ზამთარში კი, მტრისას, აქ რომ ზამთარი იცის: თოვლით ივსება მთა და ბარი.

— ზამთარი თუა, თოვლიც უნდა მოვიდეს და ყინავდეს კიდეც. აბა, უთოვლო ზამთარი სად გინახავს, აქაური თოვლი და წვიმა რომ გიკვირს! — იწყინა ბაბუამ.

— არსად, მაგრამ აქ ნამეტანი იცის. ცა რაკი ერთი პირს მოაღებს, იმდენ თოვლს ჩამოყრის, რატომ ას წელს არ ეყოფა დასალბობად აფრიკის და არაბეთის უდაბნოებს. მერე თოვლზვავებისაგან ისე მაგრად ჩაიკეტება გზა-კვალი, ძალიანაც რომ მოინდომო, სოფლიდან ფეხს ვერ გადგამ. ჰოდა, ზიხარ შინ ახრჩოლებული ღუმელის თუ ბუხრის შემყურე და მოწყენილობისაგან გულგალეული მოუთმენლად ელოდები გაზაფხულის ნათელ ცას და მხურვალე მზეს. ტელევიზორი მაინც რომ მუშაობდეს,კიდევ ჰო, გაერთობი მაინც კაცი, მაგრამ სანამ ამ დასაქცევ მთაში ტელევიზორი შემოაღწევს, ცხრა თაობა მაინც გადავა. ჟურნალ-გაზეთები ორ კვირაში ერთხელ რომ მოიტანოს ფოსტამ, ათასი მადლობა უნდა უთხრა. რადიოსაც სიამოვნებით მოუსმენ კაცი, მაგრამ ისიც თუ ერთი გაფუჭდა, მთელი წელი ენაჩავარდნილი დუმს, რადგან სანთლით რომ ეძებო, შემკეთებელს წამლადაც ვერ იპოვი. ხარ ასე ქვეყანას მოწყვეტილი, უდაბურ კუნძულზე გარიყულივით. მეოცე საუკუნის მცხოვრები კი გქვია შენც და ბარად მოსახლესაც. ამდენს რას მალაპარაკებ, შენ ნაკლებად იცი ეს ყველაფერი თუ რა?! წაწყდეს, ვინც აქ პირველად ფეხი დადგა, საძირკველი გასკვნა და მომავალს ურჩია, დასახლდი და იცხოვრეო. მე არასოდეს არ მიყვარდა ეს წყეული, ქანცის გამწყვეტი, მკაცრი და მწირი მთა!

— ვიცი, რომ არ გიყვარდა. აკი ამიტომაც გაექეცი და ქალაქში დასახლდი. მეტი რა გინდა?! — ჰკითხა ბაბუამ და მამაჩემს სახეში შეხედა.

— ის მინდა, რომ შენც მიატოვო აქაურობა და ჩემთან ერთად მოხვიდე ქალაქში!

— ქალაქში რა უნდა გავაკეთო?!

— არაფერიც არ უნდა გააკეთო. განა იქ სამუშაოდ გეპატიჟები? დაჯექი შინ და ჩვენთან ერთად მშვიდად იცხოვრე. ამ სახლზე ათჯერ უკეთესი ბინა მაქვს. არც შემოსავალი მაკლია.

— სიცოცხლითა და სიკეთით მოიხმარე, რაც გაქვს, ყველაფერი, მაგრამ მე მშვიდ და იოლ ცხოვრებას შეჩვეული არა ვარ! არც ადრე მიძებნია და, შენ რომ მპირდები, იმ სიმშვიდეში ვერც ახლა გავძლებ. მე შოდას, სანაცხის და ღრჯამის მთებს რომ ვუყურებ, ეს მეყოფა და სიკვდილამდე ამათ ვერ დავცილდები!

— ნეტავი შენ, მამაჩემო! რას გაძლევს, ერთი მაცოდინა, ეს შიშველი კლდეები?!

— შენ, შვილო, ადამიანებთან ურთიერთობა აღებ-მიცემის გარეშე ვერ წარმოგიდგენია და ყველაფერს, რაც კი შენი გარშემოა — მიწას, ცას, მთასა თუ ბარს, ვატყობ, მხოლოდ სარგებლიანობის საზომით უცქერი. მშობლიური ადგილების სიყვარული კი აღებ-მიცემობის საწყაოთი არ იზომება!

ახალგაზრდობის წლებში, ეს რევოლუციამდე იყო, თექვსმეტისაც არ ვიქნებოდი, ერთ უცხოურ გემზე მოვეწყვე ცეცხლფარეშად. ფოთიდან გასულმა ლამის ნახევარი მსოფლიო შემოვიარე. ზღვაზეც ბევრი ვეხეტე და ხმელეთზეც. ინდოეთიდან ალასკამდე ქვეყანა არ დამიტოვებია, ერთხელ მაინც ფეხი რომ არ დამედგა. უცხოეთში ამ ჩვენს პატარ ჩვეშოზე უფრო მდიდარი ათასი მხარე მინახავს, მაგრამ ამ შიშველი კლდეების სიყვარულმა არსად არ დამაყენა და ყველაფერს ამათი ცქერა ვარჩიე. შენ კი ამბობ, აქაურობა რას გაძლევს, დათმე და სხვაგან წამოდიო.

— კი მარა, რუსთავი სხვაგანაა?! — შემარიგებელი კილოთი უთხრა მამაჩემმა.

— მაინც... შენ ძალას არ გატან, იყავი სადაცა ხარ, ოღონდ ტყუილად ნუ მაძალებ. ათასიც რომ მირჩიო, სოფელსა და ამ ჩემს სახლ-კარს ვერ მივატოვებ, რადგან ეს სახლი მარტო ბინა, ღამის გასათევი და თავშესაფარი როდია ჩემთვის! იგი ომში წასული შენი უფროსი ძმების სახსოვარი და სამემკვიდროა. ამ სახლიდან ოთხი შვილი გავისტუმრე იმ წყეულ ომში და ოთხიდან ერთიც არ დამიბრუნდა, მაგრამ ამ სახლში რომ ვარ, ასე მგონია, დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ ჩამოვლენ-მეთქი...



ბაბუამ ჯიბიდან ხელის კანკალით ამოიღო ქისა. მამამ დაასწრო და მიაწოდა სიგარეტი, მაგრამ ბაბუამ არ გამოართვა. არ გამოართვა კი არა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ ამჩნევდა მამაჩემის გაწვდილ სიგარეტიან ხელს. იგი მდუმარედ განაგრძობდა გაზეთის ნაგლეჯში თუთუნის გახვევას. აღელვებისაგან თითები უკანკალებდა და თამბაქო ებნეოდა.

— კარგი, მამა, დამშვიდდი. რახან ეს გამოყრუებული მთა, სოფელი და ეს ცივი სახლი ისე გიყვარს, რომ ყველაფერს გირჩევნია, იყავი აქ და როგორც გინდა, ისე იცხოვრე, მაგრამ მე რა დაგიშავე ისეთი, რომ საქვეყნოდ თავს მჭრი?!

— რას ეძახი შენ თავის მოჭრას?! — თავი ასწია ბაბუამ.

— თავის მოჭრაა, აბა რა არის! სანამ შენ აქ ხარ, ხალხი ჩემზე იტყვის, უსინდისო და უმადური ყოფილაო. თვითონ კულტურული ცხოვრება მოინდომა, ქალაქში წაბრძანდა და

მოხუცი, გამზრდელი მამა გავერანებულ მთის სოფელში მარტოდმარტო მიატოვაო.

— მარტოდმარტო რადა ვარ, სოფელი სულ კი არ დაქცეულა. მე არაფერი გამიჭირდება. სხვებიც რომ არ იყვნენ, ჩვენი ვაჟკაცი ბიჭი აქ არ არის? პატრონადაც მეყოფა და მომვლელადაც! — იმედითა და სიამაყით თქვა ბაბუამ.

— რას ამბობ, მამა, თითის სიგრძე ბავშვმა რა უნდა გიპატრონოს, თვითონ საპატრონო და მოსავლელია!

ბაბუამ წარბი შეიკრა, მხრებში გასწორდა, ხმა უფრო მკაცრი და შეუვალი გაუხდა:

— სიტყვამ მოიტანა და, სხვათა შორის ვთქვი, თორემ მე ჯერ არავის მოვლა-პატრონობა არ მჭირდება, ჯანზე კარგად ვარ და არც ავადმყოფობა რამე მაწუხებს. ხოლო ხმის გამცემად და დამლაპარაკებლად ეს თითის სიგრძე ბავშვი ჩემთვის საკმარისია. — ბაბუამ ასეთი პასუხი სრულიად დამაჯერებლად ჩათვალა, მაგრამ მამაჩემი ვერც ამან გატეხა...

— მაგრამ ეს ბიჭი ხვალ რუსთავში უნდა წავიყვანო! — მოულოდნელად გამოუცხადა ბაბუას.

ამას კი ნამდვილად არ მოელოდა ბაბუა. იგი უეცრად მოტყდა და მოიხარა. სასოწარკვეთილი, ხმამაღლა შეევედრა მამაჩემს:

—გიორგი, თუ მამა-შვილობის რამე გწამს და იმ ქალაქს შენთვის გული მთლად არ გაუცივებია, ნუ იზამ მაგას, ნუ წაიყვან ამ ბიჭს სოფლიდან! დატოვე ჩემთან, ამისრულე ეს ერთი თხოვნა და ისე ჩათვალე, ვითომ ამით სიცოცხლე გეჩუქებინოს მოხუცი მამისთვის. სხვა შვილები რომ არ გყავდეს, ამის თხოვნას ვერ გავბედავდი, მაგრამ შენთან უფროსი შვილები არიან, ეს უმცროსი კი ჩემთან დატოვე! გაფიცებ ომში დაღუპულ ოთხი ძმის ხსოვნას!



ასე მეგონა, სადაცაა ბაბუა მუხლებზე დაეცემა და მამას ისე შეევედრება-მეთქი. ბაბუა ფარსმანი ასე მორჩილი და რაიმეს მთხოვნელი არასოდეს მინახავს. შემეცოდა ბაბუა და თვალზე ცრემლი მომადგა.

მამა ერთხანს კუშტად იჯდა და ხმას არ იღებდა. ალბათ საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, რა ეპასუხა ბაბუასათვის, დაეთმო თუ უარი ეთქვა მის თხოვნაზე.

ბაბუა სახეში შესცქეროდა და მე ვგრძნობდი, რომ იგი გულის ფანცქალით ელოდებოდა პასუხს. მამა არ ჩქარობდა. ბოლოს თავი აიღო და ფანჯრის მიღმა მოდანდგარე ბნელს მიაშტერდა.

— ვერ დავტოვებ, მე ასე ვიცი და მჯერა, რომ შვილი მშობლებთან უნდა იზრდებოდეს! — გადაჭრით განაცხადა მან, ბაბუა ფარსმანის მავედრებელ მზერას თვალი აარიდა და მეორე ოთახში გავიდა.

გარეთ ისევ გადაუღებლად წვიმდა და ჩვეშურა კვლავინდებურად ბობოქრობდა...

დილით მხარზე ხელის ძლიერმა შეხებამ გამომაღვიძა. თვალი ზანტად გავახილე. თავზე მამა მადგა.

— ადექი, მამუკა, წასვლის დროა, მალე ავტობუსი გავა და ველარ მივუსწრებთ.

ჯერ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა მამა, სად მიგვეჩქარებოდა, ან რა ავტობუსის გასვლისთვის უნდა მიგვესწრო, მაგრამ თანდათან გამოვფხიზლდი, წუხანდელი საუბარი გამახსენდა და უხალისოდ შევუდექი ჩაცმას.

ბაბუა იმავე ადგილზე იჯდა, სადაც წუხელ დავტოვე. ორივე იდაყვით მაგიდას დაყრდნობოდა, თავი მხრებში ჩაერგო. მივხვდი, რომ იგი ლოგინს ახლოს არ გაჰკარებია და მთელი ღამე თეთრად გაათენა.

მომზადებას მალე მოვრჩით და სამივენი გარეთ გამოვედით. ნაწვიმარი მიწა ჯერ ისევ სველი იყო. ჰაერში ფიჭვის სუნი ტრიალებდა. ხის ფოთლებს შერჩენილი წვეთები წყდებოდა და წკაპაწკუპით ეცემოდა სველ ბალახზე. ნახირის ბღავილით და ძაღლების კანტიკუნტი ყეფით იღვიძებდა სოფელი და ეზოკარში გამოდიოდა.

დილის ბინდბუნდში კარგად არ ჩანდა ჩვეშურა, მაგრამ ზარიან გრუხუნზე ეტყობოდა, რომ დაუმცხრალ-დაუწმენდავი იყო და გაზულუქებული ტანის ბრაზიანი დრეკით მიაქანებდა ჯერ ისევ მღვრიე აქოჩრილ ტალღებს, თან პირზე მომდგარ ქაფს რიყეზე ტოვებდა.

ბამბასავით ქათქათა, მსუბუქი ნისლები ეხვია შოდას. წუხანდელი წვიმით განბანილი კრიალა და უჩვეულო ლურჯი ცა გამჭვირვალე იყო. ცინცხალი დილა დგებოდა.

ვინ იცის, რამდენჯერ უწვიმია ჩვენს მთებში ამგვარად, ან დილა რამდენი მინახავს ასეთი, მაგრამ ასე ძვირფასი და საყვარელი, როგორც დღეს, არასოდეს მომჩვენებია ეს მთა, ცა, ტყე-ველი თუ ჩვეშოს ფუნიანი ორღობეები. ჩვეშურას ჭალაში დაგდებული ქოფთათანას ვეება ლოდისხელა სევდა შემომაწვა გულზე. ასე მეგონა, სამუდამოდ ვტოვებ მშობლიურ სოფელს და ვერასოდეს ველარ ვნახავ-მეთქი.

ბაბუას ჩემი ხელისთვის მაგრად ჩაევლო ხელი და გვერდიდან არ მიცილებდა.

ავტობუსის გაჩერებაზე რამდენიმე კაცი იდგა და სიგარეტს აბოლებდა. სხვები ავტობუსში შეყუჟულიყვნენ და მოთმინებით ელოდნენ, როდის გამოაცხადებდა შოფერი, გვეყოფა დაგვიანებული ძილისგუდა ზარმაცების ლოდინი, დასხედით და წავიდეთო.

მამამ ჯერ საერთო ,,გამარჯობა“ თქვა და მერე ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— ასე მალე მიდიხარ, გიორგი?! — ჰკითხა შოშიტა ძიამ.

— აბა, რა ვქნა, ჩემო შოშიტა, მოგეხსენება, ქალაქში სამსახური რაც არის. ერთ დღეს ვერ გააცდენ უნებართვოდ, ერთ საათს ვერ დააგვიანებ. იქ თავისი წესი აქვს ყველაფერს.

— სამსახური სოფელშიც ასეა, — მოუჭრა მამას ძია შოშიტამ. იგი ჩვენს სოფელში ქოხ-სამკითხველოს გამგედ მუშაობს.

— ბაბუა ფარსმანიც მიგყავს? — ესეც ძია შოშიტამ ჰკითხა მამაჩემს და ბაბუას შეხედა. ბაბუა ფარსმანი მთელ სოფელში უხუცესი კაცია და მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, ,,ბაბუას“ ეძახის.

— ბარემ გულით მინდოდა, რომ წამეყვანა, ჩემო შოშიტა, მაგრამ ვინ მოდის! დაუჟინია, მთელი სიცოცხლე აქ გავატარე და ამ სიბერის დროს სოფელს ვერ დავთმობო. არ ვიცი, ღმერთმანი, ასეთი რა იშოვა ამ დამწვარ და გახრეკილ სოფელში, რომ მისი დატოვება ენანება და არ ეთმობა! — წყენით თქვა მამამ და ჩემს გვერდით უხმოდ ატუზულ ბაბუას თვალი შეავლო.

— რა უნდა ეშოვნა, გიორგი, ღვთით ჩვენი სოფლის ხა-

მი არა ხარ და კარგად იცი, რომ ამ შიშველ კლდეებს, — შოშიტა ძიამ ხელი სანარცხისკენ გაიშვირა, — ასე ადვილად წვენს ვერ გაადენ. ხოლო განძს და სიმდიდრეს, შენ რომ გულისხმობ, აქ ათასიც რომ ეცადოს კაცი, ვერსად იშოვნის. მაგრამ ბაბუა ფარსმანს არ გაემტყუნება. ამ მიწას არის შეჩვეული და თავის გემოზე მოწყობილი ეზო-კარი აგრე ადვილად არ ეთმობა, ახალ ხალხს და გარემოს ვერ შეეგუება.

მამას არ ესიამოვნა, შოშიტა ძია რომ ბაბუა ფარსმანს გამოესარჩლა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ შოფერმა მოტორი ჩართო და ყველას გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა, აბა, ჰა, ვინც მოდის, დასხედითო. ბაბუამ თავზე უხმოდ დამადო ხელი, ღელავდა და ხელი უჩვეულოდ უთრთოდა.

— წადი, შვილო, კარგად ისწავლე, რომ არც თავი შეარცხვინო და არც აქაური მასწავლებლები. სოფელი არ დაივიწყო. იცოდე, ზაფხულში უსათუოდ ჩამოდი! — გაბზარული ხმით მითხრა და ჩაახველა. მე ყელზე მოვეხვიე და მაგრად ვაკოცე. მოკლედ შეკრეჭილი, ჭაღარა წვერი სველი ჰქონდა. ალვის ხიდან მოწყვეტილი წვეთები თუ დაეცა სახეზე.

მანქანა ნელა დაიძრა.

ისეთ გუნებაზე დავდექი, ატირებას ბევრი აღარაფერი მიკლდა.

ორღობეში, ჩვენი სოფლის ოღროჩოღრო გზაზე ნელა მიირწეოდა ავტობუსი და მეჩვენებოდა, რომ გზისპირას მდგარი ხეები ხელებივით მიქნევდნენ ტოტებს და მომძახოდნენ, სად მიდიხარ, დარჩი, დარჩიო.

თემშარა რომ გავიარეთ და სანახშოს გავცდით, ბიჭების ყვირილი შემომესმა. ფანჯარას ვეცი. ტიტე, იურა, ბერდია, ოთარა და გივი თავქუდმოგლეჯილი მოსდევდნენ ავტობუსს. წუხელ თითქმის ყველას ცალ-ცალკე შევატყობინე, რუსთავში მივდივარ-მეთქი, დავემშვიდობე კიდეც და დღეს აღარ ველოდი, თუ ასე ადრიანად მოვიდოდნენ გასაცილებლად. ისე გამიხარდა, ასე მეგონა, მთელი წელი გავიდა, რაც არ მინახავან-მეთქი.

ბიჭები ხელებს მიქნევდნენ და ხმამაღლა მომძახოდნენ: მამუკა, მთლად არ გაქალაქდე, არ დაგვივიწყო, ზაფხულის არდადეგებზე გელოდებით, აუცილებლად ჩამოდი და ბურთის წამოღებაც არ დაგავიწყდესო.

მე თვალს არ ვაცილებდი მათ, მაგრამ ენას კბილს ვაჭერდი, მეშინოდა, არ ავღრიალებულიყავი.

ბიჭები თანდათან ჩამორჩნენ, მაინც თავდაუზოგავად მორბოდნენ.

უკანასკნელად გავხედე სოფელს. სანახშოზე, ავტობუსის გაჩერებასთან, მხრებჩამოყრილი ბაბუა ფარსმანი მარტოდმარტო დაღონებული იდგა. ეტყობოდა, დაცარიელებული სახლისაკენ გული აღარ მიუწევდა.

ავტობუსმა ხიდი გადაიარა და სოფელი თვალს მიეფარა. ორბეთის აღმართი ავიარეთ. შოფერმა სიჩქარე გამოცვალა. ამის იქით ქალაქის გზა იწყებოდა. აქამდე კიდევ არ მჯეროდა, სოფელს თუ ვტოვებდი, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი. გულზე რაღაცამ მწარედ მიჩხვლიტა და სული შემეხუთა.

„გადახტი, კაცო, რაღას ყოყმანობ, ახლა, ამ წუთში გადახტი, სანამ ავტობუსი სიჩქარეს მოუმატებს და თავქვე დაეშვებოდეს", — ცხადად მომესმა გულში ნაფიქრი სიტყვები. სკამიდან დაფეთებული წამოვვარდი. კარს ვეცი, გავაღე და ძირს ჩავხტი. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ხელის მოვლება და შეჩერება ვერავინ მოასწრო. იქნებ მოესწროთ კიდეც, მაგრამ ალბათ არავინ მოელოდა, თუ გავიქცეოდი. შოფერმა ავტობუსი გააჩერა, მაგრამ მე ყურს არ ვუგდებდი მამაჩემის ძახილს, არც მგზავრების სიცილს ვაგდებდი რამედ. რაც შემეძლო, მივრბოდი უკან, სოფლისაკენ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერულ ხაზზე. ზაზა ძაგირაძე, ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, IV კლასი



უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. ინგა კობა… ძე, ზესტაფონის რაიონი, ქვ. საზანოს საშუალო სკოლა, … კლასი






ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 5

## ქცევის ყოველდღიური ნორმა

მე სამი შვილის დედა ვარ. უფროსი ვაჟი მეშვიდე კლასშია, მომდევნო — მესამეში, ხოლო გოგონა პირველად წელს შეაღებს სკოლის კარს. სამი ბავშვია და სამივე სხვადასხვა ხასიათისაა, მაგრამ ზოგი რამ კი საერთო აქვთ, მაგალითად პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა... ყოველივე ამის გამომუშავება ხუმრობა საქმე არ გეგონოთ, საამისოდ ერთი და ორი დღე არ კმარა და დიდი წინდახედულებაც არის საჭირო.

ერთ ასეთ შემთხვევას გიამბობთ: ჩემმა უფროსმა ვაჟმა მეხუთე კლასი ფრიადებით დაამთავრა. ნიშნების ფურცელი მამას რომ აჩვენა, ჩემმა მეუღლემ შეაქო და შეჰპირდა: თუ გაისადაც ასე გამახარებ, მეშვიდე კლასში რომ გადახვალ, ველოსიპედს გიყიდიო. ბიჭი სიხარულით ცას ეწია.

მამის ასეთი დაპირება, მართალი გითხრათ, ჭკუაში არ დამიჯდა: ჩვენს ვაჟს უკვე ჩაგონებული ჰქონდა, რომ კარგად უნდა ესწავლა, ღრმა და მტკიცე ცოდნა უნდა მიეღო, რათა ღირსეული მოქალაქე გამხდარიყო და ქვეყანას გამოსდგომოდა. ველოსიპედის შეპირება კი გასამრჯელოს ჰგავდა, ხოლო გასამრჯელოსათვის სწავლა არასოდეს იქნება თანამიმდევრული და შედეგიანი... მაგრამ ჩემი ვაჟის იმედი მქონდა და გავჩუმდი, არაფერი მითქვამს.

გაიარა იმ ერთმა წელმა და მაისის ბოლოს ბიჭმა ფრიადებით სავსე მოწმობა მოიტანა. მაგრამ ჩემს მეუღლეს ველოსიპედის ყიდვა არ უფიქრია. ჯერ თურმე საერთოდ დავიწყებოდა, მერე კი, როცა შევახსენე, მითხრა: ახლა ველოსიპედის შეძენის საშუალება არა მაქვს, მომავალ ზაფხულს კი აუცილებლად ვუყიდიო.

შვილმა მამას თქმით არაფერი უთხრა, ვერ შეჰბედა, მაგრამ შევატყვე, რომ დღითიდღე უგუნებო და გულჩათხრობილი ხდებოდა. რაღა მექნა, ერთ დღეს ავდექი, ოჯახისთვის გადანახული ფული ავიღე, მაღაზიაში წავედი და სწორედ ის ველოსიპედი ვიყიდე, რომელიც ბიჭს მოსწონდა. შინ ჩუმად შევიტანე, საღამოს გამოვუჩინე და ვუთხარი: აჰა, შვილო, მამამ სიტყვა შეასრულა და ველოსიპედი გიყიდა, აბა შენ იცი, კარგად ისწავლე, არ შემარცხვინო-მეთქი.

ბიჭს მთვარესავით გაებადრა სახე.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ სიტყვის გატანაში ხანდახან ჩვენც, უფროსებიც ვცოდავთ ხოლმე[illegible] გალითს დიდი ძალა აქვს და[illegible] იმის საბაბი არ უნდა მივცეთ, რომ [illegible]იშნი მოგვიგოს: აკი ნათქვამი სიტყვა არც შენ შეასრულეო! ერთ შეცდომასაც კი შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს და აღზრდის ხაზი გამოუსწორებლად გაამრუდოს, კერძოდ, მიაჩვიოს მოზარდი მერყეობასა და უპირობას. მე მეხსიერებაში ჩამრჩა პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის ნათქვამი: „არაფერი არ ამაღლებს ისე პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხდება ქცევის ყოველდღიური ნორმა". ხოლო ეს ერთიანობა ნორმად რომ იქცეს, თითოეული ჩვენგანის, დიდისა თუ მცირეს ყოველი სიტყვა, ყოველი მოქმედება წინდახედული და ასჯერ გაზომილ-აწონილი უნდა იყოს.

თამარ ქვარიანი,
დიასახლისი. ქ. ბათუმი.

## ამხანაგები მხარში ამომიდგნენ

პატარაობიდანვე ძალიან მიყვარდა ზამთრის ყინვაგამძლე ფრინველები, მათი ბედი ყოველთვის მაწუხებდა, მუდამ ვცდილობდი, რითიმე დავხმარებოდი.

მერე მივხვდი, რომ მარტოკა ბევრს ვერაფერს გავაკეთებდი, ავდექი და ამხანაგებს დახმარება ვთხოვე.

თანაკლასელებმა მაშინვე მხარი დამიჭირეს. ბევრი მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი არაფერი იყო: გავაკეთეთ პატარა „სახლები"—საშოშიეები, ავიღეთ საკენკი და წავედით დათოვლილ ტყეში. ყუთები ხეებზე ჩამოვკიდეთ და შიგ საკენკი ჩავყარეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახეთ, რომ წამოწყებულ საქმეს ფუჭად არ ჩაუვლია: მალე ტყის სიჩუმე დანაყრებული შოშიების მადლიერმა ჟღურტულმა გაახალისა.

იმ დღიდან მოკიდებული, არცერთ ჩემს ამხანაგს არ დაზარებია ნაკისრი საქმის კეთება, არავის გაუტეხია მეგობრის წინაშე ნათქვამი სიტყვა და პირობა. ამ ერთსულოვნებამ და საერთო სიკეთემ უფრო დაგვაახლოვა და შეგვაყვარა ერთმანეთი.

თამარ წერეძიანი,
გულრიფშის რაიონის განახლების საშუალო სკოლა, IX კლასი.

## გული გვატკინა

ამ წერილს სამხრეთ საქართველოდან გწერთ. ვინ ვინ და, ჩვენ კი ვიცით ჩვენი ისტორიული წარსულის ყადრი: ზოგი წიგნებით, ზოგი მოხუცთა ნაამბობით, ზოგიც თვალნათლივ დასანახად — ისტორიული ძეგლებით.

ამ რამდენიმე ხნის წინ კლასში ჩამოვაყალიბეთ საექსკურსიო ბიურო, ავირჩიეთ მეთაურები, შევადგინეთ გეგმა. ყველა საოცარი ენთუზიაზმით შეხვდა ამ ამბავს. პირველად ზარზმაში წასვლა გადავწყვიტეთ, თარიღზეც შევთანხმდით, მაგრამ... დანიშნულ დღეს ჩვენი ამხანაგების ნახევარზე მეტს დათქმულ ადგილას მოსვლა თურმე აზრადაც არ მოსვლია.

გული გვატკინა ამხანაგების უპირისწყულობამ და ენაუკარობამ.

ფრიდონ აბრამიშვილი,
ადიგენის რაიონის სოფელ შოყის საშუალო სკოლა, V კლასი.

ფ ე რ მ ა. ბელა გიორგაძე,
ზესტაფონის რაიონი, სოფ. ქვ. საზანოს საშუალო სკოლა, VI-ბ კლასი.

15844




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 5

*

შენ როგორც გინდა — გაიგე,
შენ როგორც გინდა — გაბრაზდი:
უფრო ლამაზი რომ იყო,
ჯერ უნდა იყო...
ლამაზი.

*

მე რომ მოვედი,
შენ რომ მოხვედი,
ის რომ მოვიდა,
სათითაოდ რომ მოვიტანეთ
ფიქრი ჩვენი,
სიტყვა ჩვენი,
ოცნება ჩვენი —
გავინაწილეთ ჩვენი სამყოფი
სითბოც,
სიცივეც და
სიამაყეც.
მერე კი, როცა
მოვიდა მზე,
ჩვენ მას თვალები
გაგუსწორეთ,
და...
... მზე იცინოდა.

*

დროდადრო რომ შემიკრთები,
რა გეჩვენება?
თითქოს მარილს აყრიდნენო
გახსნილ ჭრილობებს...
ცამდის რომ არ აღემართე
აღმაშენებელს,
გაუძლებდი იმოდენა
დაღმა შენებას?!

*

რა საჭიროა მუდამ დარი
პირმომცინარი? —
სიცხეში როკვით დედამიწა
ხომ მოიქანცა!
გაფერმკრთალდება სილამაზე
ტყის თუ მდინარის
და მზე...
მზე ეკლებს გამოისხამს
სხივების ნაცვლად...
... რა საჭიროა მუდამ დარი
პირმომცინარი?!

გასაოცარი სიყვარული
დასახლდა გულში.
რაც ქართულია — ყველაფერი
უსაზღვროდ მიყვარს...
ვაი, რომ ყველას ვერ დაგიტევთ
ციცქნა საგული...
ვაი, რომ ყველას ვერ გაგწვდებათ
ხელები ციცქნა.

ელისო კალანდარიშვილი,
თბილისის 149-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.



რობინზონის გადასარჩენად. გუგაზ სანიკიძე,
ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა,
V კლასი.

## სიმღერა

ამ ლამაზ მხარეში
ვინ არ ამღერდება,
ამ ცისფერ წალკოტში
ვინ არ აღელდება.
ვინ არ განცვიფრდება
შენი მშვენებითა.
შენთვის მარტოოდენ
თვალის შევლებითაც.
შენ ხარ, საქართველოვ,
არწივების დედა,
ვინ არ იამაყებს
შენი გულით ნეტავ.
სულ შენ გიმღერებ და
თავსაც განაცვალებ,
ოღონდ, საყვარელო,
ცოტა დამაცალე!

ლია ჯიმშიტაშვილი,
თიანეთის მ. გელოვანის სახელობის
საშუალო სკოლა, VII კლასი.

*

მზეში ბრწყინავს მთა და მდელო —
ჩვენი ტურფა საქართველო, —
ამოჩქეფდა,
ამოდუღდა
უკვდავების წყარო.
გალაღდა და გახალისდა,
მორთულია სამაისოდ, —
ძველისძველი ჩვენი მიწა
ახალ ყოფით ხარობს!..

გიორგი გალდავაძე,
თბილისის 21-ე საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

## შეხედეთ ერთი

შეხედეთ, აქ ცა რა ცისფერია,
ან ცისარტყელა როგორ კიაფობს,
— გინდათ იცოდეთ მათი ამბავი?
შეხედეთ მზეს და იგი გიამბობთ.

შეხედეთ იორს, როგორ დუდუნებს,
ანდა იკვლიავზე როგორ ქრის ქარი,
ყური დაუგდეთ, მათზე გიამბობთ
დაობლებული ბერი ჭადარი.

ჯულიეტა აფციაური,
თიანეთის რაიონის ნაქალაქარის
8-წლიანი სკოლა, VII კლასი.

ჩვენი შემოქმედება

**გივი ბოსტოღანაშვილი**

მოთხრობები

მხატვარი რუსუდან ყარამურზა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ცივგომბორის მთები შეუმჩნევლად იძირებიან შირაქის ველში. ჩრდილო-აღმოსავლეთით ალაზნის მარჯვენა ნაპირს დაჰყურებენ და ავიწროებენ მას. გაღმა საინგილოა, ვეებერთელა მთების ტყით დაფარულ კალთებში განაბული.

ხარისთვალა ხოხბები ბარდებში ისევ დაძვრებიან, არც კურდღელი, მელა და ტურა გამოლეულა. ტყის პირებში კაკბებიც წამოგიფრინდებიან ან გარეულ ქათამს მოჰკრავთ თვალს. ცხვარიც ბევრია ისევ, ჯეირნების ფარებისა კი რა მოგახსენოთ. ზაფხულობით უამრავი ჭრელა მწყერი მოედება ნაყანებს. ყველაზე საოცარი მაინც ცა არის თავისი ფერისცვალებით. შემოდგომობით, როცა გადახნავენ კუპრივით შავ მიწას, ცის სილურჯესაც თალხი ფერი შეერევა. ზამთარში, თოვლი რომ დაბარდნის უკიდეგანო ველს, ცა გაქათქათდება და გამჭვირვალდება. გაზაფხულზე, ჯეჯილის აბიბინებისას, მწვანედ აკამკამდება. ზაფხულში, ყანების დამწიფებისას კი ოქროსფრად შეიფაკლება. მიწა ყუათიანი და ბარაქიანია. შირაქი ქოთქოთაა. უამრავი ტრაქტორის, ავტომობილის, თვითმფრინავის პატრონი იქოთქოთებს, აბა რა იქნება. მაშინ კი...

ჩვენს სოფელს მინდვრები უფრო მეტად შირაქში ჰქონდა. გაზაფხულობით დედაბუდიანად ავიყრებოდით, ღრმად მოხუცებულების გარდა, და მივაშურებდით ჩვენს ბრიგადებს. იქ ერთმანეთზე მიდგმულ ქოხებში ვცხოვრობდით. ქოხი ჯაგის წნელით იყო მოწნული და ბზეგარეული თიხით შელესილი. მიწური იატაკი ჰქონდა, ზემოდან კი ჩალა ეხურა. როცა წვიმიანი ან ცივი ამინდი იდგა, ქალები და ბავშვები შიგნით იძინებდნენ, კარგ ამინდში კი იქვე, თავ-თავისი ქოხების წინ. კაცები კარგა მოცილებით, ნაბდებში, ჯგუფ-ჯგუფად ათევდნენ ღამეს. დილით უთენია ავიშლებოდით და ყველა თავის საქმეს მიაშურებდა, რათა დაღამებამდე მუხლჩაუხრელად ეშრომა.

მე ძროხები მებარა. დილაადრიან დავირეკავდი, ძოვებით გზის ნაპირებს დავუყვებოდი და თანდათან კარგა შორს, თეფეებამდე ჩავაღწევდი. იქ უფრო ადრე გამოსული ჩემი მეზობელი დათია აძოვებდა ხარებს. ომის ინვალიდი იყო და ამაზე მძიმე საქმის შესრულება უძნელდებოდა, თუმცა არც ეს იყო იოლი. სანამ წამოცხებოდა, წერა-კითხვას ვასწავლიდი, მაგრამ ამაოდ. მერე იჯდა და მიამბობდა ძველ ამბებს. მოვიღლებოდით ლაპარაკით, გავიშხლართებოდი რბილ ბალახზე, შევყურებდი შევერცხლისფერებულ ცის სილურჯეს და ყურს ვუგდებდი მწერების ჭრიჭინს თუ ჩიტების ჭიკჭიკს. ამასობაში მზე თავზე დაგვადგებოდა, ჩვენ ჩვენს სამწყოსს დიდნაურისაკენ ვუზამდით პირს. იქ დიდ, გრძელ ნავში მრავალმილიანი წყალი მოსჩქეფდა და უამრავი საქონელი იკლავდა წყურვილს. და აი, როგორც კი წყალს მივუახლოვდებოდით, დათია გუდას გახსნიდა, ხმელა პურს ამოიღებდა და მეტყოდა: წყალი რომ კარგად დალიო, ჯერ ცოტა პური უნდა შეჭამოო. იტყოდა და დაიწყებდა ნახევრად უკბილო პირით ხმელა პურის ღოღნას. მივიდოდით, ჩვენც დავლევდით წყალს და საქონელსაც დავარწყულებდით. ამის შემდეგ ძროხები საშუადღეოდ მზის გულზე დაეყრებოდნენ ხოლმე და თვალდახუჭულნი იცოხნებოდნენ. ჩვენც, უკვე საკმაოდ მოღლილნი, იქვე წნორის გრილოში [illegible] დით მუხლს და თვალს მოვატყუებდით. ნელ-ნელა კიდეც გადაგრილდებოდა და ჩვენც მოგვშივდებოდა პური. ნამძინარევი დათია ერთხანს თვალებს ახამხამებდა, გაიზმორებოდა და შევუდგებოდით პირის ბანას. დიდხანს სიამოვნებით ვიბანდით, მერე შევიწმენდავდით ჩვენსავე პერანგებზე და ამოვშლიდით გუდიდან, თუ კი რამე გვებადა ხმელა პურის გარდა: ხახვს, ნიორს, მხალს, ჭინჭარს, ბალბას ან რაღაც ამგვარს. გავშლიდით სუფრას და სანამ სადილს შევუდგებოდით, დათია ისევ იტყოდა: პური რომ კარგად შეჭამო, ჯერ წყალი უნდა დალიოო, მივიდოდა და დაეწაფებოდა მადიანად. ამის შემდეგ აუჩქარებლად შევექცეოდით სადილს. სამგვარად გამხმარი პური ვიცოდით. ოთახში ან მარანში თავისთავად გამომშრალ პურს სადღაც გულში ობი მოეკიდებოდა და მწარე გემო დაჰკრავდა. მისი შეჭმა უფრო ბავშვებს გვიჭირდა. არადა, ჩვენებური კაცი პურს ხომ არ გადააგდებდა. ამიტომაც შთაგვაგონებდნენ უფროსები: ვინც აობებულ პურს შეჭამს, ფულს იპოვნისო. თონეში გახმობა გამოცხობისთანავე ხდებოდა, ძალზე სასიამოვნო საჭმელი იყო და თონის სიმხურვალის გემო იგრძნობოდა. ერთი ეგ იყო, ფქვილივით იფშვნებოდა, ამიტომ სამუშაოზე წაღება ხელსაყრელი არ იყო. გარდა ამისა, იცოდნენ კიდევ მზეზე გახმობა. გამოცხობის მეორე დღეს დაჭრილ პურს გაფენდნენ; დილა-საღამოს გამომშრალი უფრო ადვილი საჭმელი იყო, შუაგულ სიცხეზე კი ქვასავით ხდებოდა და მზის გემო დასდევდა. სწორედ მზით გამხმარს შევექცეოდით ხოლმე უფრო ხშირად.

რამდენსა ვცდილობ მას შემდეგ, მაგრამ ვერა და ვერ მიპოვია ის გემო, იმ ხმელა პურს რომ დაჰკრავდა.

უდიერადაც იმიტომ ეპყრობიან ახლა ალბათ, რომ ასე ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ადამიანისათვის პური.

# შიში

ომის დროს არაკაცები, ვინც მოახერხა ფრონტზე წასვლისთვის თავის არიდება, მოურიდებლად დაძვრებოდნენ სხვის გომებში, ბაკებში და საქათმეებში, იპარავდნენ ყველა-

ფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ: ქათამს, ინდაურს, ცხვარს, ღორს. პატრონებს გინდაც გაეგოთ, გამოსვლას ხომ ვერ გაბედავდნენ. უკაცობა იყო სოფელში... ერთხელ, კარგად მახსოვს, ჩანკაანში, ზაფხულის წვიმიან და ქარიან ღამეს, ბრიგადას მგლის ხროვა დაეცა. ყველამ გაიგო. თოფიც კი ჰქონდათ, მაგრამ გამსროლი არავინ იყო. იდგნენ შორიახლოს მგლები, ნაკვერჩხლებივით აელვებდნენ თვალებს, ყმუოდნენ და თავზარსა სცემდნენ დედაკაცებსა და ბავშვებს. ხან ლამპები აანთეს ქოხებში, ცეცხლიც დაანთეს, უყვირეს კიდეც, მაგრამ მგლები ამას არაფრად აგდებდნენ. განთიადმა რომ დაჰკრა, მხოლოდ მაშინ იკადრეს წასვლა, ბრიგადის ახლოს კი ხარის დახრული ძვლები დატოვეს.

რაც ომი დამთავრდა, ქურდობა თანდათან გადავარდა, მაგრამ მაინც არის და, რას იზამ. ამიტომ მე, თოთხმეტი წლის ბიჭი, გამიშვეს მარცვლეულის საველე კალოზე ღამის ყარაულად. ბრიგადირმა არჩია, რომ ამ საქმეში დიდი ადამიანის მოცდენა არ ღირდა.

კალო ბრიგადის სადგომიდან ათიოდე წუთის სავალზე იყო მოწყობილი. საღამო რომ მოვიდა, ხალხი ნელ-ნელა ტოვებდა იქაურობას და ბრიგადისკენ მიიწევდა. საველე საწყობის გამგემ მითხრა, აბა შენ იცი, ბიჭო, კარგად შეინახეო. მერე მკითხა, რა გაჩუმებული ხარ, ხომ არ გეშინია ღამე მარტოო. ან რაზე ხარ მარტო, ე ხარებიც ახლოს არ არიანო?.. თუ შეგეშინდა, გაელაპარაკე ხოლმეო.

გაიკრიფნენ ყველანი ბრიგადაში. ვარსკვლავებით მოჭედილი კრიალა ცა. სიჩუმე. ქერის დიდი ხვავები. ჭრიჭინები ჭრიჭინებენ მხოლოდ უდარდელად. ესეც რაღაცას ნიშნავს — მთლად მარტო არა ვარ. მე მამიჩემისეულ გრძელსა და განიერ ფარაჯას მივათრევ, ქერის ხვავზე გადავდივარ, შუაგულში ჩაღრმავებულ ადგილზე ფარაჯაში ვეხვევი და ვცდილობ ჩავიძინო. თუ ხანდახან ჩემს სმენას რაღაც უჩვეულო ხმა მისწვდება, ვიძაბები, მაგრამ ისევ ვმშვიდდები ხოლმე. და მშურს იმათი, ვინც ბრიგადაში წევს ახლა და მშვიდად სძინავს. დიდხანს ვწვალობ ასე და ნელ-ნელა ვიძირები ძილბურანში. გავიღვიძებ და უკვე გათენებული იქნება, ზაფხულში ხომ მალე თენდება.

ეს სიზმარიც კარგი რამეა. რასაც ცხადად ვერ ხედავ და არ გიმართლებს, სიზმარში ყველაფერი უხვად არის. მეც თამამად შევცურე იმ ბედნიერ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, მამაჩემიც დაბრუნდა, ოჯახმაც ერთბაშად სული მოითქვა, საჭმელიც ბევრი იყო და სასმელიც. ეს ბედნიერება ალბათ დილამდე გაგრძელდებოდა ასე, რომ ხმაურს არ გამოვეღვიძებინე. ნამძინარევს სიფხიზლე და შიში ერთად მეუფლებოდა. მერე ბურანი მთლად გაქრა და აშკარად მომესმა ტომრების ავსების ხმაური. ეს ხმაური არასოდეს არაფერში არ შემეშლება, იმიტომ რომ სულ პატარაობიდან ვიცი, რა ხმას გამოსცემს ტომარა მარცვლით ავსებისას. ეტყობოდა, რამდენიმე კაცი ერთდროულად ავსებდა ტომრებს, მერე პირს უკრავდნენ და ფურგონზე უდებდნენ. ხანდახან ცხენების ფრუტუნიც მესმოდა. ჩემი მოვალეობა იყო წამოვმხტარიყავი და დამეჭირა ქურდები. ამას ვერ შევძლებდი, მაგრამ ხელი მაინც უნდა შემეშალა, რომ ხალხის ქონება არ მოეპარათ. მე კი, დრო გადიოდა და ვერ ვბედავდი, დიდხანს ვერ ვბედავდი. ვინ იცის, რამდენი ხანი გავიდა. ბოლოს მტკიცედ გადავწყვიტე ჩავრეულიყავ, მაგრამ [illegible] თავზე ერთი კაცი თოფით მდგას და დამახალოს, თუ რამეს გავბედავ. ამიტომ ფარაჯის ქვემოდან ფრთხილად გამოვიჭყიტე. მივიხედე, არავინაც არ მადგას თავზე თოფით. მერე გამბედაობა მოვიკრიბე და წამოვდექი, ჯერ მუხლებზე, მერე ფეხზე. ირგვლივ ორი ჩემსიმაღლე ხვავებია და არაფერი არ ჩანს. უცებ დავიყვირე: ქურდებო-მეთქი. მაგრამ ხმის ნაცვლად ძალიან დაბალი, ხრინწისმაგვარი ბგერა მომწყდა ბაგიდან. ქურდები ვერც გაიგონებდნენ. არც შეუჩერებიათ მუშაობა. ცოტა ხანს ვიყავი გარინდული და ისევ დავიყვირე. უფრო სწორად, რაღაც საშუალო იყო ყვირილსა და კნავილს შორის. ქურდებმა არც ახლა მომაქციეს ყურადღება. მაშინ ფორთხვით დავიძარ ზევით, ხვავის თავისაკენ. მივფორთხავ და მივფორთხავ. ქურდები კი არ მაქცევენ ყურადღებას და ისევ ავსებენ ტომრებს. ბოლოს, როგორც იქნა, გადავიხედე... მართლაც რომ შიშს დიდი თვალები აქვს. რის ქურდები, რა ქურდები! მოსულა არხეინად ოთხიხუთი ცხენი და მადიანად შეექცევიან ქერს, ხრამუნითა და ფრუტუნით. პირველი გრძნობა სიხარული იყო, რომ დამეუფლა... მერე ხმაც დამიბრუნდა და გიგიბაცასავით დავჭყივლე ცხენებს, საიდანაც მოვიდნენ, იქითვე დავიფრინე.

როგორაა საქმეო, მკითხა დილით ბრიგადირმა.

მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, კარგად-მეთქი.

ასე ჩავაბარე ღამის ყარაულის გამოცდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისამართი: ლენინის რაიონი, 159-ე სკოლა




159-ე საშუალო სკოლა ლენინის რაიონის ახალ დასახლებაში მდებარეობს... მის იქით მხოლოდ თბილისის ზღვაა და ახალ მშენებლობათა საძირკვლები... ამ სკოლის ბიოგრაფია სულ ხუთ წელს ითვლის... ახლა ეყრება აქ ყველაფერს საფუძველი, ისახება ახალი ტრადიციები...

სკოლა ქართულ-რუსულია. ორივე სექტორის პიონერები ერთ პიონერულ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული, მათ ცხოვრებას რაზმეულის საბჭო უძღვება, რომლის თავმჯდომარეა თამრიკო თეთრაძე; როგორც თამრიკომ გვითხრა, სკოლის პიონერული აქტივი მეგობრულია. მეგობრობა ვლინდება სპორტში, შრომაში, ერთობლივ ღონისძიებათა მომზადებაში, მეზობელი ფაბრიკა-ქარხნების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კოლექტივებთან ურთიერთობაში.

„ერთიან ძმურ ოჯახში" — ასე ჰქვია ჩანაწერების ერთ რვეულს, რომელიც პიონერთა ოთახში ინახება.

**თამრიკო ქორიძე,**
**XVII რაზმის საბჭოს თავმჯდომარე**

„...გვიყვარს ჩვენი სკოლის ყოველი აგური, ვუფრთხილდებით მის ყველა კუთხე-კუნჭულს. ჩვენი რაზმის პიონერებს გვიხარია, რომ ქართულ-რუსულ სკოლაში ვსწავლობთ. ჩვენს სკოლაში თითქმის 19 ეროვნების ბავშვი სწავლობს. კარგად ვიცნობთ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას, ზეპირად ვიცით 36-ე მუხლი, სადაც სსრ კავშირის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობაზეა ნათქვამი.

რუსული სექტორის ბავშვებთან მეგობრობა, ღონისძიებების ერთობლივად მომზადება რუსული ენის უკეთ დაუფლებაში გვეხმარება; ჩემი კლასი რუსული განყოფილების VII³ კლასის პიონერებთან მეგობრობს. ერთად ვმონაწილეობთ კომუნისტურ შაბათობებში.

ვერ ვიტანთ უქნარებსა და ზარმაცებს. ამას გვინერგავენ ჩვენი შრომის მასწავლებლები — გურამ გოგოლაშვილი და ტაისა კუჩუმოვა. ისინი გვასწავლიან, თუ ჩვენივე ხელით როგორ კეთილმოვაწყოთ სკოლის ეზო-გარემო, შრომის კაბინეტები".

**გალინა გუზკინა,**
**VII კლასი**

„... ჩვენს სკოლაში 19 ეროვნების 1250 ბავშვი სწავლობს. მაგალითად, ფოტო-წრეში ქართველებთან ერთად ქურთი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი პიონერებიც არიან ჩაბმულნი. როცა ქართული სექტორის ბავშვები საღამოს ატარებენ, ჩვენ ყოველთვის გვეპატიჟებიან. ასევე ჩვენც, თუ შეკრებას, შეხვედრას, ზეიმს ვამზადებთ, ქართველ პიონერებს უსათუოდ ვიწვევთ საპატიო სტუმრებად. რაზმეულის შეკრებებს ორივე სექტორის პიონერები ერთად ვამზადებთ, მეგობრობის ტრადიციულ ფესტივალზე ეროვნულ ტანსაცმელს ვიცვამთ და ეროვნული კერძებით ვუმასპინძლდებით ერთმანეთს.

გვეამაყება, რომ 159-ე საშუალო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა დედაქალაქში".

**მზია ნიკვაშვილი,**
**XVI რაზმი**

„ჩვენი სკოლის პედაგოგები სწავლასთან ერთად ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას გვასწავლიან.

ქართულ-რუსული სექტორის მოსწავლეებმა ერთად მოვაწყეთ საბრძოლო დიდების მუზეუმი, ჩავატარეთ შრომის ზეიმი; ამ ზეიმზე ყველა კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრების ამსახველი მასალები. აღსანიშნავია ისიც, რომ ზეიმზე ყველა რესპუბლიკიდან მოვიწვიეთ სტუმრები, წარმოვადგინეთ მათი ცეკვები და სიმღერები. სტუმრებს ქართული კერძებით გავუმასპინძლდით.

რუსული სექტორის რაზმები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ; რუსული VII¹ კლასის მოსწავლეებს მაკულატურისა და ჯართის შეგროვებაში, საინტერესო პიონერული საქმეების მოფიქრებაში ვეჯიბრებით. სწავლაში კი ერთმანეთს ვეხმარებით, მხარში ვუდგევართ, ამით ჩვენი მეგობრობა უფრო მტკიცდება".

**ირმა დევნოზაშვილი,**
**XII რაზმის საბჭოს თავმჯდომარე**

„...ხუთი წლის მანძილზე სკოლამ ბევრი კარგი ტრადიცია დაამკვიდრა. ტრადიციების ბურჯი კი პიონერთა ორგანიზაციაა, რომელიც თავის დიდ მეგობრულ კოლექტივში რუსული და ქართული სექტორის პიონერებს აერთიანებს.

ორი სექტორის არსებობა ენთუზიაზმს გვმატებს, ამას ხელს უწყობს კლასებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბ-

რება; ვცდილობთ არც ერთ კლასში არ იყოს წესრიგის დამრღვევი, ჩამორჩენილი; ამ საქმეში ჩვენი სამოქმედო დევიზია რუსთაველთა მოწოდება: ,,არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“.

ორივე სექტორი რომ ერთ შენობაშია მოთავსებული, ეს ჩვენ რუსული ენის შესწავლაში გვეხმარება, რუსული სექტორის პიონერებს კი — ქართული ენის დაუფლებაში. ერთმანეთს ვეხმარებით საზეიმო დღეებისთვის ჩვენ-ჩვენი სიმღერებისა და ცეკვების შესწავლაშიც.

სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმში ვდებთ ფიცს მეგობრობაზე; გვწამს, რომ ჩვენი მეგობრობა ისეთივე ურღვევი იქნება, როგორც ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა, რომლებმაც მოამზადეს ოქტომბრის რევოლუცია და რომელთა ცხოვრებასაც გვაცნობს ჩვენი მუზეუმი“.

თამრიკო თეთრაძე,
რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე

,,...რაზმეულში ყველა საკითხი ერთად, მეგობრულად წყდება. ქართულ-რუსული სექტორის პიონერულ აქტივს არ უჭირს მუშაობა ორივე ენაზე.

პიონერთა ოთახში მოწყობილ გამოფენებს წარწერები ქართულ-რუსულ ენებზე აქვს გაკეთებული. რაზმეულის საბჭო ატარებს ქართულ-რუსული სექტორის რაზმების ერთობლივ ღონისძიებებს.

რაზმეულის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პიონერთა შრომით საქმიანობას. ლენინის რაიონი საუკეთესო ტრადიციებით ცნობილი მუშათა რაიონია. ხშირად ვართ სტუმრად ფაბრიკა-ქარხნებში, ვმეგობრობთ პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშასთან, სოციალისტური შრომის გმირ თამარ გელაშვილთან. ახლო ურთიერთობა გვაქვს შრომის მოწინავეებთან, ზურაბ სალარიძესთან, 32-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორ ეთერ სოლომონიასთან, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოწინავე ადამიანებთან. გვწამს, რომ პროფესიის სწორი შერჩევა დაგვეხმარება დროულად ჩავებათ შრომითს ფერხულში.

ჩვენი მომავალი იმ საწარმოში წარიმართება, სადაც დღეს ექსკურსიაზე დავდივართ, სადაც შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი უფროსი მეგობრების დაზგებთან და აგრეთვე შრომის გაკვეთილებზე შრომითი ჩვევები მივიღოთ.

რაზმეული თავიდანვე გულმოდგინედ მოეკიდა პიონერთა რაზმების საკავშირო მარშის ახალ ეტაპს — ,,ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“ და ახალი ვალდებულებები აიღო. იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა რაიონულ თუ საქალაქო ღონისძიებაში. სკოლის ინტერკლუბის წევრებმა მაია გვარლიანმა, ხათუნა ავლახიშვილმა, ნანა კახეთელიძემ, ლეილა დათაშვილმა და როზა ქარელიშვილმა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელი მიიღეს კონკურსში — ,,საბჭოთა ქვეყნის ბავშვები ყველაზე უკეთ მღერიან“.

ამ სკოლის რომელ აქტიურ პიონერსაც უნდა ჰკითხოთ, ყველა სიხარულით მოგიყვებათ იმ დიდ მეგობრობაზე, რაც ორი სექტორის პიონერებს შორის არის დანერგილი. რაზმეულის პიონერთა მეგობრობის ფესვები აქტივის ურთიერთობიდან იწყება.

დაგვაინტერესა პიონერული აქტივის ფართო მონაწილეობით წამოწყებულმა ერთმა კარგმა საქმემ, რომლის თემაა: ,,ჩვენ გვიხმობს შრომის ფართო გზა“. ტრადიციული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება. მისი ფინალისათვის მთელი წლის მანძილზე ემზადებიან. წლის დასასრულს კი იმართება შრომის ზეიმი შეფი ფაბრიკა-ქარხნების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საბჭოთა არმიის საშეფო ნაწილების ფართო მონაწილეობით.

რაზმეულის ყოველი რაზმი ფაბრიკასთან ან ქარხანასთან მეგობრობს, ამასთან ერთად კონტაქტს ამყარებს ამ ქარხნის თუ ფაბრიკის საბაზო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთან, სკოლის სააქტო დარბაზში ჯერ ჩნდება სტენდი იმ საშეფო ფაბრიკისა თუ ქარხნის ნაწარმის ასახვით, სადაც ესა თუ ის რაზმი ყოფილა სტუმრად. მათ გვერდით იმავე ფაბრიკისა თუ ქარხნის საბაზო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრების, მათი საქმიანობის ამსახველი ფოტოების გამოფენა ეწყობა. ერთმანეთს ეჯიბრებიან ხოლმე თბილისის 23-ე, 31-ე, 36-ე, მე-80 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან, ჟაკარდული ტრიკოტაჟის კომბინატიდან, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკიდან და სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდან წარმოდგენილი ექსპონატები.

9 ქარხნისა და 9 სასწავლებლის ნამუშევრებია აქ გამოფენილი. ყოველივე კი მზადდება კითხვარის მიხედვით, რომელზეც თვეობით მუშაობს ხოლმე თითოეული რაზმი, თითოეული რგოლი. კითხვებს რომ პასუხი გასცეთ, ამისათვის საჭიროა მშობლიური რაიონის, ქარხნისა თუ ფაბრიკის, ტექნიკურ თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ისტორიის ცოდნა, ქარხნის მოწინავე ადამიანებთან შეხვედრა, ფაბრიკა-ქარხნებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მომუშავე დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ბიოგრაფიების, აგრეთვე მუშების სამუშაო და დასვენების პირობების გაცნობა. პიონერულმა აქტივმა და შემდეგ პიონერებმა ქარხნის, ფაბრიკის სახალხო დეპუტატებიც მოიკითხეს, შეხვდნენ შრომის გმირებს, ისაუბრეს ახალგაზრდა მუშებთან. ბევრი, ბევრი რამ გაიგეს მათ ამ კითხვარის დახმარებით.

თითქმის ყველა მოსწავლისათვის გამოიძებნა საქმე. აამოძრავდა ყველა რგოლი, რაზმი; მათ დასახმარებლად მოვიდნენ კომკავშირის კომიტეტი, კომკავშირის საკლასო ორგანიზაციები.

— თუ არ ჩავიხედეთ სკოლის ირგვლივ შემოჯარული ფაბრიკა-ქარხნების შრომაში, არ გავეცანით მომავალ სპეციალისტთა მოსამზადებელი სასწავლებლების საქმიანობას, ისე გაგვიჭირდება პროფესიის არჩევა, — აგვიხსნა კიდეც რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ თამრიკო თეთრაძემ.

პიონერული აქტივის თვალი სწვდება სკოლის ირგვლივ მდებარე 5 ჰექტარ მიწას, რომელსაც პიონერთა მოვლა, გამრჯე ხელები სჭირდება; აქ ყოველ შრომით შაბათობაზე 6000 ძირი ხე-ბუჩქი ირგვება...

პიონერთა ოთახში უამრავი ალბომია. ვინ მინდა ვიყო? ასეთი აზრია გატარებული ყველა ალბომში. ეს აღელვებს ახლა რაზმეულის თითოეულ წევრს, სკოლის პიონერულ აქტივს. ალბომში წავიკითხავთ, თუ რომელი საგანი უფრო აინტერესებს ამა თუ იმ პიონერს და რატომ? რომელ პროფესიებს იცნობს ის? რომელ პროფესიას აირჩევს სკოლის დამთავრების შემდეგ? სწავლის გარდა კიდევ რა იტაცებს? რვა კლასის დამთავრების შემდეგ რომელი სახის სასწავლებელში მოინდომებს სწავლის გაგრძელებას? რომელი პროფესიის ადამიანის შრომას თვლის სასარგებლოდ და საინტერესოდ? სპეციალობის მიღების შემდეგ სად დაიწყებს მუშაობას, ქალაქში თუ სოფლად და ა. შ.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს თამრიკო თეთრაძეს არ უჭირს მუშაობა. მას და მის აქტივს შრომა არ ეზარებათ. მათი მისამართია: თბილისი, ლენინის რაიონი, თემქის დასახლება, მესამე მიკრორაიონი, მე-5 კვარტალი...

...გორაკზე ახალთახალი სკოლა დგას, აქ შრომობს შრომისმოყვარე აქტივი, კარგი პიონერები — თამრიკო თეთრაძე, თამრიკო ქორიძე, გალინა გუბკინა, მზია ნიკვაშვილი, ირა ბაკოვა, ირინა ისუპოვა, ირმა დევნოზაშვილი და მრავალი სხვა.

ნ. ფაილოძე




ინდური ლეგენდის მიხედვით

**ბჰიშამ საჰნი**

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

ამბობენ, კანგრაში[1] ოდესღაც ერთი უცნაური რაჯა ცხოვრობდაო. თუმცა არავინ იცის, ტყუილია ეს ამბავი თუ მართალი, ან როდის ცხოვრობდა ეს რაჯა, ან ვინ შეთხზა მისი თავგადასავალი. ეს კია, რომ კანგრაში მოსახლე არ არის, მისი ამბავი რომ არ იცოდეს.

ბავშვებს წერა-კითხვას რომ ასწავლიან, პირველად რაჯას ამბავს უყვებიან; თუ მშობლებს ჯიუტი ქალიშვილების დაშინება უნდათ, მაშინაც რანი მეჰტოს ამბავს მოაგონებენ ხოლმე...

რაჯა ვან-ვატის ცოლი, რანი მეჰტო, მართალია, დედოფალი იყო, მაგრამ საჭმელს თვითონ ამზადებდა, სარეცხსაც რეცხავდა, თვითონვე იცვამდა და ჭიდან წყალსაც თვითონ ეზიდებოდა.

თვითონ რაჯა ვან-ვატი დილიდან შუადღემდე სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, ბჭობდა თავის ნაზირ-ვეზირებთან, იყო სამართლიანი. ხოლო როცა შუადღის მზე დააჭერდა, თავის ქოხში მიდიოდა, მისი სამფლობელოს ერთ მივარდნილ კუთხეში, სამეფო სამოსელს იხდიდა, გლეხურ ტანსაცმელს იცვამდა, დაღამებამდე ბაწრებს გრეხდა და მერე ყიდდა.

გამვლელები ხედავდნენ წელში მოხრილ რაჯას, რომელიც ბაწრებს გრეხდა, და მის ცოლს რანი მეჰტოს, რომელიც ჭიდან წყალს ეზიდებოდა. ყველას უხაროდა მათი დანახვა და რაჯა-დედოფალს პატივისცემით ესალმებოდნენ.

კულუს რაჯას ასული მეჰტო აპსარივით[2] თვალწარმტაცი იყო, მისი ქმარი ვან-ვატი კი — ალვის ხესავით აშოლტილი ვაჟკაცი. რაჯა და დედოფალი ერთმანეთის სიყვარულით იწვოდნენ და ბედით კმაყოფილნი პატარა ქოხში ტკბილად ცხოვრობდნენ.

ერთხელ რანი მეჰტოს რამდენიმე მეგობარი ქალი ესტუმრა. მდიდრულ სამოსელში გამოწყობილნი, სამკაულებითა და ზიზილ-პიპილებით შემკული ახალგაზრდა ქალები სამეფო ეზოში სიცილ-კისკისით შემოიჭრნენ. როდესაც რანი მეჰტო და რაჯა ქოხში დაინახეს, ძალიან გაოცდნენ. რანი მეჰტო ქოხიდან გამოვიდა, სტუმრებს შეეგება, ყველას აკოცა და მეგობრები ქოხში შეიპატიჟა. ქოხში არც საწოლი იდგა და არც ხალიჩები ეფინა. რანი მეჰტომ სტუმრებს ჭილოფი დაუგო და უბრალო საჭმელით გაუმასპინძლდა.

რანი მეჰტოს მეგობრები ძლიერ დაღონდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

— რანი მეჰტო! ვის გაუგონია, დედოფალი ქოხში ცხოვრობდეს. შენს საროსავით ტანს ერთი სამკაული მაინც არ უნდა ამშვენებდეს? ან სად გაგონილა დედოფალს ასე ღარიბულად ეცვას? დედოფლის კისერზე სულ ლალ-მარგალიტი და ალმასები უნდა ბზინავდეს.

რანი მეჰტომ გაიცინა და თქვა:

— მე ყველაფერი მაქვს, სხვისი არაფერი მინდა. თუ ჩემი ქმარი საკუთარი შრომით ირჩენს თავს, მე რატომ არ უნდა ვიმუშაო!

— როგორ, შენი ქმარი — რაჯა მუშაობს?! — ქალებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

— მეჰტო, როდის იყო, რომ რაჯები ბაწრებს გრეხდნენ. ისინი ხომ მუდამ სახელმწიფო საქმეებით არიან დაკავებულნი. რაჯას გვირგვინზეც ლალ-მარგალიტი უნდა ციალებდეს. ასეთი ცხოვრება შენს საროსავით ტანს დააჭკნობს და სახეს ჩამოგიღნობს.

რანი მეჰტომ კვლავ გაიღიმა და თქვა:

— მე ვან-ვატის ცოლი ვარ, მე ლალ-მარგალიტი არ მინდა. ჩემი ქმრის სიხარული და ბედნიერება ჩემი სიმდიდრე და ბედნიერებაც არის. მე ყველაფერი მაქვს.

სტუმრები რანი მეჰტოსთან რამდენიმე დღე დარჩნენ. მასთან ერთად თამაშობდნენ, ერთობოდნენ, იგონებდნენ ბავშვობას. შუადღისას რაჯა ბაწრებით მხარდატვირთული ბრუნდებოდა შინ. ქმრის მოსვლამდე რანი მეჰტო საოჯახო საქმეებით იყო გართული. მეგობრები მის ბედს დასტიროდნენ, რაჯა ვან-ვატს კი წყევლიდნენ და მეჰტოს გამაუბედურებელს ეძახდნენ.

რანი მეჰტო სტუმრად მოსული მეგობრების წუწუნს არაფრად აგდებდა, მაგრამ, ნათქვამია, წვეთ-წვეთობით წყალმა ქვა გახვრიტაო, რანი მეჰტოს გული კი ჯერ კიდევ ნაზი და სათუთი იყო.

ერთ დღეს რანი მეჰტო მეგობარ ქალებთან ერთობოდა. ერთმა მეგობარმა გულქანდი მოიხსნა და რანი მეჰტოს კისერზე ჩამოჰკიდა. მეორემ საყურეები მოიძრო და ყურებზე გაუკეთა. მესამემ თმაზე სურინჯი წასცხო. რანი მეჰტო ბუზღუნებდა და სულ „არ მინდა, არ მინდას“ გაიძახოდა. ბოლოს ერთმა მეგობარმა მეჰტოს სარკე მოუტანა და ჩაახედა. სამკაულებით გაბრწყინებული სახის დანახვაზე რანი მეჰტოს თვალები აუჭრელდა, თავბრუ დაეხვა, დაიბნა, მიხვდა, რომ მისი სულიერი სიმტკიცე და მთლიანობა დაირღვა და მყისვე მოიხსნა სამკაულები.

დაღამდა, რაჯა ვან-ვატი ბაწრებით დატვირთული ქოხში დაბრუნდა. რანი მეჰტომ ჩვეულებისამებრ ქმარს ჭილოფი გაუშალა, ხელ-პირი დააბანინა, ცივი წყალი დაალევინა, მაგრამ მის სახეს

---

1 ადგილია ფენჯაბში, სადაც პატარა ვულკანი მოქმედებს.

2 აპსარი სამოთხის მოცეკვავე ქალია ინდურ მითოლოგიაში.

უწინდელი ღიმილი აღარ ამშვენებდა და აღარც ხმაში ედგა უწინდელი ალერსი.

იგი დაღონებული იყო, კრინტს არ ძრავდა. რაჯამ ბევრჯერ ჩაჰკითხა, რა დაგემართაო, მაგრამ გულჩათხრობილმა რანი მეჰტომ არაფერი უპასუხა. მეჰტოს მეგობრები ევლებოდნენ თავს, ცდილობდნენ მის გართობას, მაგრამ დაღვრემილი რანი მეჰტო დუმდა.

გავიდა ორი კვირა. დადგა სტუმრების წასვლის დრო. რანი მეჰტომ მეგობრები ალაყაფის კარებამდე მიაცილა, მერე ქოხში დაბრუნდა და სევდიანი ჭილოფზე პირქვე დაემხო.

შუადღით, როცა რაჯა შინ დაბრუნდა, პირქვე დამხობილი რანი მეჰტო ქმარს არც კი მიეგება. რაჯა დაღონდა, რანი მეჰტოს გვერდით მიუჯდა და ჰკითხა, რა გაწუხებსო.

რანი მეჰტო ატირდა და ზლუქუნით თქვა:

— შენ არა ხარ რაჯა და არც მე ვარ დედოფალი. წადი და გრიხე ბაწრები!

რაჯა მყისვე მიხვდა, რა ისრითაც იყო რანი მეჰტოს გული დაჭრილი. ადგა, გარეთ გავიდა და ღრმად ჩაფიქრებული ბოლთის ცემას მოჰყვა.

მეორე დღეს რაჯამ ჩუმად გახსნა თავისი სკივრი. ბაწრების გრეხით მონაგარი ოქროს ფულები ამოიღო და ბაზარში წავიდა. დაბრუნებულმა კი რანი მეჰტოს

# უცხოური იუმორი

## ჰალსტუხი

ამერიკის ერთ საფირმო მაღაზიაში საუკეთესო ჰალსტუხებია. ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრები აქაურ ჰალსტუხს ატარებს. მაღაზიის დირექციამ მოისურვა, სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეიც მათი მუშტარი გამხდარიყო. ამიტომ მწერალს მშვენიერი ჰალსტუხი გაუგზავნეს და ბარათიც დაურთეს.

„ჩვენს ჰალსტუხებს სიამოვნებით ატარებენ. ვიმედოვნებთ, რომ თქვენც ჩვენი მუშტარი გახდებით და ამ ჰალსტუხის საფასურად ორ დოლარს გამოგვიგზავნით“.

რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიამ პაკეტი მიიღო, რომელშიც ასეთი შინაარსის ბარათი იდო:

„ჩემს წიგნებს სიამოვნებით კითხულობენ. ვიმედოვნებ, რომ თქვენც ჩემი მკითხველი გახდებით და შეიძენთ ჩემს უკანასკნელ მოთხრობას, რომელსაც ამ პაკეტით გიგზავნით. იგი ღირს ორი დოლარი და ოთხმოცი ცენტი. მაშასადამე, 80 ცენტი კიდევ უნდა გადამიხადოთ“.

## მზრუნველი გიჟუნა

სასწავლო წლის ბოლოს პეტერი სკოლიდან შინ დაბრუნდა და მშობლებს ახარა:

— დედიკო და მამიკო, მე თქვენ ფული დაგიზოგეთ.

— რანაირად?

— ახალი სახელმძღვანელოების ყიდვა აღარ მოგიწევთ, იმავე კლასში დავრჩი.

## ერთგულება

— რა ლამაზი ძაღლი გყოლიათ!

— დიახ, თანაც ძალზე ერთგულია: სამჯერ გავყიდე და სამივეჯერ უკან დამიბრუნდა.

## ყოჩაღი

— როგორ ჩააბარე გამოცდა?

— კარგად, მამიკო, ჩემს ყოველ პასუხზე მასწავლებელი გაოცებული ამბობდა: ღმერთო ჩემო, საიდან იგონებსო?!

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა



ნაზ თითზე ბაჯაღლო ოქროს ორი დიდი ბეჭედი გაუკეთა. რანი მეჰტომ ბეჭდებს დახედა, სწრაფად მოიძრო და აბუზღუნდა:

— ბეჭდებს მოახლე ქალებიც კი ატარებენ. შენ მოახლე ქალი უნდა გეთხოვა.

ამ სიტყვების გაგონებაზე რაჯა დაღონდა, შეშფოთებული გარეთ გავიდა და დიდხანს დამწუხრებული იდგა.

ამ დღიდან რაჯა შინ მუდამ გვიან ბრუნდებოდა, მერე გამოუძინებელი მიდიოდა და მთელი დღე ბაწრებს გრეხდა. მხოლოდ დღისით, სიცხე რომ დააჭერდა, მაშინღა თუ ანებებდა თავს მუშაობას. ვან-ვატს არც ჭამა ახსოვდა და არც სმა. მეტისმეტი მუშაობისაგან რაჯა დღითიდღე სუსტდებოდა და ხდებოდა.

გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ მეჰტოს თვალზე ცრემლი არ შრებოდა. რაჯას კი რანი მეჰტოს სევდიანი სახის დანახვა არ შეეძლო. შინ მოვიდოდა თუ არა, ცდილობდა მალე წასულიყო სამუშაოდ. მაგრამ ბაწრების გრეხით რანი მეჰტოს გული აბა როგორ უნდა მოელბო.

ერთხელ რაჯამ თავისი შრომით მონაგარი ოქროს ფულებით რანი მეჰტოს ძვირფასი სამაჯური უყიდა, მაგრამ რანი მეჰტომ რაჯას ნაბოძი სულ ნამტვრევებად აქცია.

შუაღამე იყო. უჭმელ-უსმელი რანი მეჰტო დასაძინებლად წავიდა. რაჯა კი ალაყაფის კარებთან დადგა და ღრმა ფიქრს მიეცა. უწინ თუ მშვენიერი რანი მეჰტო პატარა ქოხში დაგოგმანობდა და ორივეს მშვიდად, ტკბილად ეძინათ, ახლა მათ ჭერქვეშ უსიამოვნებისა და ტანჯვის აჩრდილი არ ქრებოდა.

ბოლოს რაჯამ მოთმინება დაკარგა, ქოხში შეიხედა, პირქვედამხობილ მეჰტოს ისე ეძინა, თითქოს ვიღაცას გლოვობსო. რაჯა დიდხანს ფიქრობდა, ხან შევიდოდა ქოხში, ხან გამოვიდოდა. ბოლოს გადაწყვიტა და ისევ ქოხში შევიდა. სიბნელეში რაჯას ტანსაცმელი ჩაიცვა, თავზე გვირგვინი დაიდგა და პირდაპირ სასახლისაკენ გაემართა. როცა სასახლეში მივიდა, სასახლის კარი დაკეტილი დახვდა. ჯარისკაცებსა და მცველებს ეძინათ. რაჯამ კარი თვითონ გააღო და შევიდა. ხაზინაში, სადაც კანგრას სამეფოს მთელი სიმდიდრე ინახებოდა, საბაჟო სკივრები ოქროსა და ვერცხლის ზოდებით და ლალ-ზურმუხტით იყო სავსე. რაჯამ აკანკალებული ხელით ერთი სკივრი მხარზე გაიდო, ხაზინის კარი ჩაკეტა და გარეთ გამოვიდა.

მეორე დღეს კი მბზინავი სამკაულებით სავსე ლანგარი მიართვა რანი მეჰტოს.

რანი მეჰტოს სამკაულების დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და სახე გაუნათ-



და, გამხიარულდა, ტაში შემოჰკრა, რაჯას ყელზე ჩამოეკიდა, მერე კი სამკაულებით მორთვა დაიწყო. თავდავიწყებით იმკობდა ტანს, მკლავებს, მკერდს, ყელსა და ყურებს ლალ-მარგალიტითა და ოქრო-ვერცხლით. როცა რაჯამ რანი მეჰტოს კმაყოფილი სახე დაინახა, შვებით ამოისუნთქა.

ერთხელ, როდესაც რაჯა ვან-ვატი ბაწარს გრეხდა, ციებ-ცხელებით გახდა ავად. ბევრჯერ სცადა თავისთვის ძალა დაეტანებინა და მუშაობა გაეგრძელებინა, მაგრამ სენი სულ უფრო და უფრო ეკიდებოდა. ბარბაც-ბარბაცით რაჯამ ძლივს მიაღწია ქოხამდე და შევიდა თუ არა, ღონემიხდილი დაეცა ჭილოფზე. რანი მეჰტო ამ დროს სარკის წინ იჯდა და მარგალიტის ქინძისთავით თმებს იმშვენებდა, რაჯა ვერც კი შენიშნა. მხოლოდ, როცა ვან ვატმა მიმქრალი ხმით დაიძახა — წყალი!—რანი მეჰტო შეცბა. ციებ-ცხელებისაგან რაჯას სახე სპილენძივით გაყვითლებოდა, გამშრალი ტუჩები გაფითრებოდა. რანი მეჰტო კი მთელი დღე სამკაულებით ერთობოდა, და ამიტომ შინ წვეთი წყალი არ იყო. მეჰტომ თუნგს ხელი დაავლო და წყლის მოსატანად ჭისკენ გაიქცა. თავიდან ფეხებამდე სამკაულებით დამძიმებულ ტანს ძლივს სძრავდა. მეჰტომ თუნგი ჭაში ჩაუშვა. როდესაც ამოსწია, ნახა, რომ თუნგში წვეთი წყალი არ იყო. მეჰტომ თუნგი ყურადღებით შეათვალიერა, სადმე ნახვრეტი ხომ არა აქვსო და კვლავ ჩაუშვა ჭაში. როდესაც ამოიღო, თუნგი კვლავ ცარიელი იყო.

რანიმ ჭაში ჩაიხედა, შეჰკივლა და უკან დაიხია. წყალი კუპრივით გაშავებულიყო, წყლის ზედაპირი აღარ ლივლივებდა. გაშავებული წყალი დაბლა ჩაწეულიყო და ზედ რანი მეჰტოს სამკაულების ანარეკლი ლაპლაპებდა. რანი მეჰტომ რაჯასთან მიირბინა და შესჩივლა, ჭაში წყალმა დაიწიაო. ღონემიხდილსა და დასნეულებულ რაჯას რა უნდა ეღონა? რანი მეჰტო ისევ გაიქცა წყლის მოსატანად, მაგრამ წყალი სულ უფრო შავდებოდა და დაბლა და დაბლა იწევდა.

გაშავებულ წყალზე კვლავ რანი მეჰტოს სამკაულები ციმციმებდნენ. რანი მეჰტო ლამის ჭკუაზე შეშლილიყო — რაც უფრო დაბლა უშვებდა თუნგს, მით უფრო დაბლა იწევდა წყალი და თუნგში წვეთი წყალი არ ჩადიოდა. რანი მეჰტო ხან ჭასთან მიირბენდა და ხან კიდევ დასნეულებულ რაჯასთან. შუაღამე ახლოვდებოდა, ქოხში კი წყალი არ იყო. ქანცგამოლეული მეჰტო სამკაულების მოხსნას შეუდგა, ტიროდა და თითოთითოდ ღამის სიბნელეში ისროდა სამკაულებს.

როცა ყველა სამკაული მოიშორა, ისევ რაჯას სუსტი ხმა გაისმა:

—წყალი, მეჰტო, წყალი!

აქვითინებულმა მეჰტომ გარედან შესძახა:

— ჭაში წყალი არ არის და საიდან მოგიტანო? — და, შემობრუნდა თუ არა, დაინახა, რომ ჭილოფზე მისვენებული რაჯა სიცხისაგან გათანგული იწვოდა და ბორგავდა.

რანი მეჰტომ ქმრის წამება ვერ აიტანა, აიღო თუნგი და ისევ ჭას მიაშურა. ჭასთან მივიდა. ჩაუშვა თუ არა თუნგი ჭაში, დაინახა, რომ ანკარა წყალი კვლავ ალივლივებულიყო. წყალმა ნელნელა ამოიწია და თუნგი გაავსო, გახარებული რანი მეჰტო წყლით სავსე თუნგით ქოხში შევიდა, მაგრამ დაინახა, რომ რაჯა გაუნძრევლად იწვა, ხოლო გაქვავებული თვალები ჭერს მიშტერებოდნენ. რანი მეჰტოს გული შეუღონდა და რაჯას მკერდზე დაემხო.

ამბობენ, რაჯა ვან-ვატი გარდაიცვალა, რანი მეჰტო ჭკუაზე შეიშალა, მათი სამფლობელო კი დაიქცაო.

ჰინდი ენიდან თარგმნა
ნიკოლოზ კენჭოშვილმა

# ჩვენი ტყეების ქომაგი

ხეობებში, მთების ფერდობებზე, იქ, სადაც უხვად იზრდება სურნელოვანი შროშანები და მსხვილნაყოფა მარწყვი, ფერებისა და ფორმების ნამდვილი ფესტივალი აქვთ გამართული სოკოებს, მზის სხივებში ჩაძირულან ჭანჭყატი და ცხრატყავა, ნაცვენი ფოთლებით ჩამუქებული მიწიდან წყაროს უდარდელი ბუტბუტი მოისმის; აქა-იქ ნადირის სოროს წააწყდებით, სოროსთან მისასვლელი მიწაყრილით არის მოფენილი. მიწაყრილიდან ტყის ყველა მიმართულებით მიემართება გულმოდგინედ დატკეპნილი ბილიკები. საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ყველაფერი ეს რაღაც საიდუმლოებით მოცულ, უჩვეულო სურათს ქმნის. მისი ავტორი და პატრონი კი საქართველოს ფაუნის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი — მაჩვი გახლავთ.

ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ მზის ჩასვლისას სოროს ახლოს მოხერხებულად შეინიღბებით. მაჩვის აქტიური ცხოვრება ხომ სწორედ საღამოს, შებინდების შემდეგ იწყება.

ეს ცხოველი ადამიანის ყურადღებას ბევრი რამით იქცევს, კერძოდ ცხოვრების ნირით, ქცევის თავისებურებებით, გარეგნობით.

მაჩვი იმ იშვიათ ძუძუმწოვრებს მიეკუთვნება, რომლებიც იკვებებიან ყველაფრით — ცხოველური თუ მცენარეული საკვებით. მათ მენიუში ძირითადად მცენარეთა ნაყოფი, ფესვები, მწერები, ქვეწარმავლები, ფრინველები, თაგვისებრი მღრღნელებია... ამასთან, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მაჩვი უმეტესად მღრღნელებითა და მწერებით იკვებება, ხოლო ზაფხულ-შემოდგომაზე — მღრღნელებით და მცენარეული საკვებით. დადგენილია, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ადგილებში ერთი მაჩვი ჰექტარ ფართობზე სპობს მაისის ღრაჭას მატლების 75 პროცენტს. ხოლო მაისის ღრაჭა ახალგაზრდა ტყის რა დაუძინებელი მტერიც არის, ყველასათვის ცნობილია.

მაჩვი ნამდვილი მიწისქვეშა არქიტექტორია. მისი სოროს — ამ მეტად რთული ნაგებობის — სიგრძე, გვერდითი სასვლელებითა და ჩიხებითურთ, ზოგჯერ 80 მეტრს შეადგენს, მოცულობა კი — 19 კუბურ მეტრს. შესასვლელიდან 10 მეტრის დაშორებით, ნიადაგის ზედაპირიდან ერთ მეტრ სიღრმეზე, ნადირი აწყობს საბუდარ საკანს, რომელიც მოფენილია გამხმარი ფოთლებითა და ხავსით. ზაფხულის განმავლობაში საფენი არაერთხელ იცვლება. მაჩვის არაჩვეულებრივ სისუფთავეზე მეტყველებს კიდევ ერთი ასეთი ფაქტი: ტუალეტს ეს ცხოველი მუდამ ბინის მახლობლად, მიწაში ამოთხრილი პატარა ორმოს სახით იკეთებს. აივსება თუ არა ორმო, მიწას მიაყრის და ახალს ამოთხრის. ზოგჯერ სოროში მაჩვების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. ამ შემთხვევაში სოროს რამდენიმე საბუდარი საკანი აქვს.

მაჩვი საკმაოდ დიდი ზომის ცხოველია. გარეგნულადაც ის თავისებური და მიმზიდველია, აქვს მუქრუხი ფერის ჩამრგვალებული სხეული და პატარა ზომის თავი, რომელსაც ცხვირიდან კეფამდე მოყვითა-

# წყალების მზეთუნახავი



ალბათ ყველამ არ იცის, რომ საცხოვრებელ ბინას — ბუდეს — არა მარტო მწერები და ფრინველები, არამედ ზოგიერთი სახის თევზებიც იშენებენ.

ერთი ამათგანია ეკალთევზა და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ნაირ-სახეობა — სამეკალა.

ეს თევზი პირველი დანახვისთანავე გეუცნაურება: მთელი სხეული ქერცლის ნაცვლად რქოვანა ფირფიტებით (30-31 ცალი) აქვს დაფარული და შეხედავ თუ არა, შუასაუკუნეთა დროინდელი, ჯავშანში ჩაჭედილი რაინდი მოგაგონდება. თან ის შეიარაღებულია — ზურგზე სამი და მუცელზე ორი (ფარფლების ნაცვლად) მწკრივად ჩარიგებული ბასრი ეკლები აზის (შუბებივით). დაცურავს მუდამ პირღია და როცა მოგიახლოვდება, საოცრად ლამაზ, დიდრონსა და მომწვანო ფერის თვალებს გაკვირვებით შემოგანათებს.

ძალზე ლამაზია მამრი, განსაკუთრებით ტოფობისას, როცა სხეული ისეთი უცნაური ფერებით აუკაშკაშდება, რომ თევზი კი არა, პეპელა გეგონება.

სამეკალა ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილშია გავრცელებული, ბალტიისა და თეთრი ზღვების აუზში. საქართველოში იგი გვხვდება ენგურში, ხობში, ბზიფში, რიონსა და პალიასტომის ტბაში. ირჩევს უმეტესად შლამიან მყუდრო ყურეებს, მცენარეულით უხვ, მდოვრე ადგილებს.

იმის გამო, რომ სამეკალა „შეიარაღებულია“, თავს არხეინად გრძნობს და სწრაფად მრავლდება. იგი საკმაოდ აგრესიულიც არის. მდინარეში თუ ტბაში ანადგურებს უცხო ქვირითს და ლიფსიტებს,

ლო-თეთრი, ხოლო ლოყებზე და თვალების გასწვრივ — შავი ზოლი ამშვენებს.

მიუხედავად მოუხეშავი გარეგნობისა და მოკლე ფეხებისა, მაჩვი ისეთი ფეხმარდია, რომ ადვილად იჭერს და უსწორდება თაგვებსა და გველებს.

მაჩვები განსაკუთრებით აქტიურნი არიან ზაფხულობით, უმეტესად ღამით. ზაფხულში მაჩვი ცდილობს, მაქსიმალურად დაიგროვოს ცხიმი (ცხიმი მისი სხეულის წონის ერთ მესამედს შეადგენს), ოქტომბერ-ნოემბერში კი დათვის მსგავსად ზამთრის ძილს ეძლევა. ამ დროს სორო გულმოდგინედ იკეტება შიგნიდან. უნდა ითქვას, რომ ზამთრის ხანგრძლივი ძილისას სხეულის ტემპერატურა არ ეცემა და დათბობის შემთხვევაში ნადირს შეუძლია გაიღვიძოს, გამოვიდეს სოროდან, ითამაშოს თოვლში, შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს საცხოვრებელს და გაზაფხულამდე მშვიდი ძილი გააგრძელოს.

ადრე გაზაფხულზე სოროში იბადება ორი-ექვსი უსუსური და თვალაუხილავი ნაშიერი. დედა თავდაუზოგავად ზრუნავს შთამომავლობაზე. ერთი თვის შემდეგ პატარებს თვალები აეხილებათ, ხოლო შემოდგომაზე იმდენად დამოუკიდებელნი ხდებიან, რომ ზოგჯერ მშობლებს ეყოფიან და ცალკე საცხოვრებელს იწყობენ.



მაჩვის რიცხობრიობა თანდათან მცირდება და ამის მთავარი მიზეზი ადამიანია. სოროს გათხრისას მონადირე, როგორც წესი, მთელ ოჯახს ანადგურებს ხოლმე. მაჩვი კი მეტად სასარგებლო ცხოველია. ბუნების მოყვარულებმა იციან, რომ მავნე მღრღნელებისა და მწერების განადგურებით ეს ეგზოტიკური ცხოველი ისეთივე მეგობრობას უწევს ტყეს, როგორც კოდალა, წიწკანა ან ტყის წითურა ჭიანჭველები. ამიტომ აუცილებელია, რომ მაჩვზე ნადირობა გარკვეული ხნით საერთოდ აიკრძალოს.

საჭირო და სასურველია მაჩვების კოლონიების აღდგენა მსხვილი დასახლებული პუნქტების მახლობელ ბუნებრივ სავარგულებში. თუ მაჩვი შეძლებს და ადამიანის მახლობლად იცხოვრებს, იგი აგვაშორებს არასასურველ ცხოველებთან მეზობლობას.

**არნ. ბებეჯაური,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი**

---

მოზრდილ თევზებს კი თავისი ეკლებით ჩხვლეტს და აიძულებს იქაურობა მიატოვონ.

მიუხედავად ამისა, თავისი სილამაზითა და ფრიად საინტერესო ცხოვრების ნირით სამეკალა აკვარიუმის მშვენებად შეიძლება ჩაითვალოს. მისი ბუდის კონსტრუქცია სირთულით ოდნავ თუ ჩამოუვარდება ფრინველისას; ხოლო ამ თევზის შთამომავლობაზე ზრუნვის და თავდაცვის უნარი პირდაპირ განსაცვიფრებელია.

სამეკალას თავისი „იარაღის" იმედი აქვს და სხვა თანამოძმეებივით მტერს არ გაურბის. სამაგიეროდ, თუ აკვარიუმში ჯოხს ჩაუშვებთ, გონიერი თევზი თითქოს ხვდება, რომ ვერაფერს დააკლებს ამ ჯოხს, და უკანასკნელ მშიშარასავით იმალება. მაგრამ თუკი ამ დროს მას ლიფსიტები ჰყავს, ავი ძალლივით დაეძგერება ჯოხს და კბენს, ჩხვლეტს, რომ როგორმე თავიდან მოიშოროს და შვილებს მოსალოდნელი საფრთხე აარიდოს.

ჩვეულებრივ პირობებში მამრი სამეკალები ხშირად ჩხუბობენ, დედალი კი მათ დავაში არ ერევა ხოლმე.

საინტერესო სანახავია სამეკალა გაზაფხულის პირზე.

აი, დაცურავს იგი გამჭვირვალე წყლის სივრცეში, ხან აქ, ხან იქ მოსინჯავს ფსკერს — „სამოსახლოს" ეძებს, ბუდე უნდა აიშენოს!... ბოლოს შეარჩევს ერთ ადგილს, გრუნტს ჯერ ცხვირით ამოქექავს, მერე შიგ ჩაეფლობა და ისე სწრაფად დატრიალდება, რომ თვალის დახამხამებაში ორმოს ამოთხრის. ამის შემდეგ იწყება „მშენებლობა". მამრი მიეშურება ბუდის მასალის საშოვნელად, იპოვის მცენარის პატარა ტოტს, ორმოში ჩაafენს და კენჭით დაამაგრებს, მერე მეორეს მოიტანს, შემდეგ მესამეს, მეოთხეს... ტოტებს მუცლიდან გამოყოფილ წებოვან სითხეს უსვამს და ამით ამაგრებს. გადის რამდენიმე დღე და ჰა, ბუდეც მზადაა. გარედან იგი მცენარეებისა და ტოტების შემთხვევით ნაყარს ჰგავს, შიგნით კი უფრო „კეთილმოწყობილია", აქვს შესასვლელი და გასასვლელი.

დაამთავრებს თუ არა მამრი მშენებლობას, შეძვრება ბუდეში, ფარფლების სწრაფი მოძრაობით დაატრიალებს წყალს და ამოწმებს, საკმაოდ მაგარია თუ არა ბუდე. „შენობის" ხარისხიანობაში დარწმუნების შემდეგ იგი მიემართება მდედრის მოსაძებნად, იპოვის და ცეკვაცეკვით ეპატიჟება ბუდისაკენ. თუ მდედრი სატოფოდ მზადაა, შევა ბუდეში, ქვირითს დაყრის და სწრაფად გადის გასასვლელიდან. ამასობაში მამრი ბუდეს დასტრიალებს თავს, მდედრის წასვლისთანავე კი „ბინაში" შედის და ქვირითს ანაყოფიერებს.

ეს პროცესი რამდენჯერმე მეორდება (სხვადასხვა მდედრის მონაწილეობით). როცა ბუდე აივსება, მამრი ნახვრეტებს დაგმანავს და დარაჯად დგება. ვაი მას, ვინც ამ დროს მასთან მიახლოვებას გაბედავს! სამეკალა მყისვე ეძგერება თავისი

„შუბებით“ და თავ-ბედს აწყევლი-სებს.

მთელი 10-12 დღის განმავლობაში მამრი წუთითაც არ შორდება ბუდეს, ის კი არა, დროდადრო მკვეთ-რი მოძრაობით წყალს აჩქეფებს (ბუდეს „ანიავებს“) და ქვირითს ასუფთავებს. ხოლო როცა ლარვე-ბი დაიჩეკებიან, დასდევს მათ, კრუ-ხივით თავს დასტრიალებს და მანამ არ მოეშვება, ვიდრე ლიფსიტები დამოუკიდებელ ცურვას და ცხოვ-რებას არ დაიწყებენ.

სამეკალას ქვირითი მომსხო და გამჭვირვალეა, რაც აადვილებს მასზე დაკვირვებას. თუ მიკროსკოპის მი-ნაზე წყლის წვეთში მოვათავსებთ განვითარების ბოლო სტადიაში მყოფ ქვირითს, დავინახავთ, როგორ მიიღებს იგი თევზის ფორმას, დავი-ნახავთ გულის მუშაობას და სისხ-ლის მოძრაობას. ეს მეტად საინტე-რესო სურათია.

აკვარიუმში სამეკალა 2-3 წელს სძლებს. ის ადვილი გამოსაკვებია, ჭამს ყოველგვარ ცოცხალ საკვებს — მწერთა და კიბოსნაირთა მატ-ლებს, აგრეთვე მცენარეთა ფოთ-ლებს. წყალი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურისა, სუფთა, ანკარა, ჟანგბადით მდიდარი და ოდნავ მომ-ლაშო (1 ჩაის კოვზი სუფრის მარი-ლი 10 ლ წყალზე). ტოფობის შემ-დეგ კარგი იქნება, თუ მდედრს სხვა აკვარიუმში გადავსვამთ.

უნდა ითქვას, რომ ზოგი მეაკვა-რიუმე არ ეტანება ამ თევზს და მაინცდამაინც ეგზოტიკურ, უცხო-ურ სახეობებს ირჩევს. ამით ისინი, სამწუხაროდ, დიდ სიამოვნებას იკ-ლებენ. სამეკალა, ეს „ჩხვლეტია მზე-თუნახავი“, არაფრით ჩამოუვარდე-ბა სახელგანთქმულ თევზებს, პირი-ქით, თავისი ორიგინალობით ბევრს სჯობს კიდეც. გარდა ამისა, იგი უფ-რო ხელმისაწვდომია, რაშიც თავა-დაც დარწმუნდებით: მალე სკოლებ-ში არდადეგები დაიწყება და ვინც მდინარისპირა ადგილებში დასას-ვენებლად მოხვდება (განსაკუთრე-ბით დასავლეთ საქართველოში), შე-უძლია თვითონვე მოინადიროს ეს თევზი (ოღონდ არა ანკესით!) თავის აკვარიუმში ჩასაბინავებლად.

„ჩხვლეტია მზეთუნახავი“ დაამ-შვენებს თქვენს აკვარიუმს. მოუა-რეთ მას, დააკვირდით და გარწმუ-ნებთ, რომ კმაყოფილი დარჩებით.

*იური ანდრეევი,*
*მოყვარული მეაკვარიუმე.*




ჩვენს ეპოქაში მსოფლიო რუკის კონტურები საკმაოდ დაზუსტებუ-ლია. დედამიწის ზურგზე არ არსე-ბობს აღმოუჩენელი დიდი ტბა თუ მდინარე, კუნძული თუ უბე, მაგ-რამ ბევრ ადგილას ჯერ კიდევ რჩება მეცნიერებისათვის უცნობი ტერი-ტორიები, ეგრეთწოდებული „თე-თრი ლაქები“, სადაც ცივილიზებულ ადამიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს. ასეთი ადგილები ცნობილია მხო-ლოდ ავიაგადაღებებით, რაც, ბუ-ნებრივია, მეცნიერების თანამედ-როვე დონეზე საკმარისი არ არის.

გადავხედოთ მსოფლიოს რუკას და დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ ბევ-რი „თეთრი ლაქაა“ აზიის, ცენტრა-ლური აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ტერი-ტორიაზე. „თეთრი ლაქები“ არსე-ბობს არქტიკასა და ანტარქტიდაშიც (მათ „მიუწვდომლობის პოლუსს“ უწოდებენ).

ყველაზე მეტი ასეთი ადგილები (დაახლოებით 5,5 მლნ კვ. კმ) სამ-ხრეთ ამერიკის ტერიტორიაზეა, სულ კი მსოფლიოში მათ დაახლო-ებით 10-11 მლნ კვ. კმ. უკავიათ, რაც მთელი ხმელეთის ფართობის დაახლოებით 17%-ს შეადგენს.

„თეთრი ლაქების“ შესწავლა ხდე-ბა აეროფოტოგადაღებათა მეშვეო-ბით და დედამიწის თანამგზავრთა დახმარებით. განსაკუთრებული დამ-სახურება მიუძღვით ამ მხრივ საბ-ჭოთა ხელოვნურ თანამგზავრებს. აეროფოტოგადაღებების შედეგად იქმნება „თეთრი ლაქების“ ასე თუ ისე ზუსტი რუკა.

ბევრი „თეთრი ლაქაა“ კუნძულ გვინეაზე, ცენტრალურ აზიაში, ეკ-ვატორულ აფრიკაში, ყინულოვან კუნძულ გრენლანდიაზე, კანადის არქიპელაგზე, ბრაზილიის მთიანეთ-ზე, განსაკუთრებით კი, როგორც უკვე ვთქვით, სამხრეთ ამერიკაში — მდ. ამაზონის აუზში.

ამაზონი დღეისათვის მსოფლიოს ყველაზე გრძელ და ყველაზე წყალ-უხვ მდინარედ ითვლება, ამასთან ეს მდინარე და მისი ხეობა ნაკლებ შესწავლილია.

ამაზონის აუზს უჭირავს დაახლო-ებით 5 მლნ კვადრატული კილო-მეტრი. იგი დაფარულია მარადმწვა-ნე, გაუვალი ჯუნგლებით, და არავინ არ იცის, თუ რამდენი ტომი ბინად-რობს აქ, როგორია მათი სამეურ-ნეო საქმიანობა, მოსახლეობის სიმ-ჭიდროვე. 1975 წელს დაიწყო სამხ-რეთ ამერიკის ტრანსკონტინენტუ-რი საავტომობილო გზის გაყვანა (წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკე-ანის სანაპირომდე — ბრაზილიის მთიანეთისა და ამაზონის ხეობის გავ-ლით), რომლის დამთავრების შემ-დეგ (1980 წ.) ზოგი რამ დაზუსტ-დება, მაგრამ მაინც კიდევ ბევრი „თეთრი ლაქა“ დარჩება.

ადგილობრივ ინდიელთა ტო-მები მტრულად ხვდებიან თეთრ-კანიანებს და ეს საგრძნობლად აბრ-კოლებს გზების გაყვანასაც. საერ-თოდ დღეისათვის ამაზონის აუზი ითვლება მსოფლიოს „ცოცხალ ეთნიკურ მუზეუმად“, რომელშიც ბევრგან ჯერ კიდევ ბატონობს ქვის იარაღი და მშვილდისარი, და ეს ხდება ავიაციისა და რა-კეტების ეპოქაში. მაგალითად, პე-რუს ტერიტორიაზე (სამხრეთ ამე-რიკა) მდ. ურუბამბას სანაპიროზე ცხოვრობს ინდიელთა ტომი, რო-მელიც თავის თავს „კუტაპაკორს“ უწოდებს და ამ ტომში სულ 37 კა-ცია. მათ არ იციან, რა არის თანა-მედროვე ცივილიზაცია, ცეცხლს

ძველებურად ანთებენ, იკვებებიან მხოლოდ ძირხვენებით, მცენარეული ნაყოფით და ნანადირევით, ნადირობენ შხამიანი ისრებით, ძირითადად მაიმუნებზე, რომელთა ტყავი მათი ერთადერთი სამოსელია.

ამაზონის აუზში ჯერ კიდევ ცხოვრობენ კაციჭამია ტომები: შიტა, ხივარო, კოი და სხვ.

XIX-XX საუკუნეებში მეცნიერებმა საკმაოდ შეისწავლეს „თეთრი ლაქები" და ბევრი საინტერესო შრომა გამოაქვეყნეს ამ საკითხზე, მაგალითად, ვინმე ლოიდმა საკმაოდ ვრცლად აღწერა კუნძულ ბორნეოს (ახლა — კალიმანტანი) ბინადარი დიაკის ტომები. გერმანელმა და ინგლისელმა მეცნიერებმა აღწერეს ცენტრალური აფრიკის ჯუჯა და თითქმის ველური ადამიანები. მაგალითად კონგოს (იტურის) გაუვალ ტროპიკულ ტყეებში ცხოვრობენ ჯუჯები, რომლებსაც იცნობენ ბუშმენების ან ნიამ-ნიამის სახელით. და, აი, მათი საიდუმლოება გამოცნობილი იქნა. 1972 წელს გამოქვეყნდა ვიქტორ ელენბერგის კაპიტალური ნაშრომი — „ბუშმენების ტრაგიკული დასასრული". საინტერესოა, რომ თურმე ბუშმენების ყველაზე ნუგბარი საჭმელია კალიები, ჭიანჭველები და ტერმიტები. ტყუპი ბავშვის დაბადება აქ უდიდეს უბედურებად მიაჩნიათ და ერთ-ერთ მათგანს, როგორც წესი, კლავენ.

თვლა საერთოდ არ იციან, თუ ითვლიან, მხოლოდ სამამდე, იშვიათად ოთხამდე, შემდეგ კი ამბობენ — „ბევრი".

არც ერთმა ბუშმენმა არ იცის თავისი ასაკი და შეუღლებისას მამაკაცსა და ქალს შორის ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბუშმენებმა საერთოდ არ იციან სიტყვები: „შარშან", „გუშინ", „ხვალ", „დილა", „საღამო". ისინი ამბობენ მხოლოდ „მზე ამოვიდა", ან „მზე ჩავიდა", წლის დროზე კი არავითარი წარმოდგენა არა აქვთ.

სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ძალზე სუსტად შესწავლილ ტომებს მიუძღვნეს თავიანთი შრომები ცნობილმა მოგზაურებმა ადრიან კაუელმა, ფრანსუა კრიგემ და სხვ. კაუელის წიგნში „შუაგულ ტყეში" და ცნობილი მოგზაურის პერეს ფოსეტის წიგნში „დაუმთავრებელი მოგზაურობა" (გამოცემულია ქართულ ენაზე) მოთხრობილია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ შესწავლილი ადგილის — ბრაზილიის მთიანეთის ბუნებასა და ადამიანებზე. თურმე აქ ცხოვრობენ კაციჭამია ინდიელები კალაპულაუეი, საბელა (აუკი), კამაური და სხვ. 1925 წელს ხივაროს ტომის კაციჭამიებმა თურმე შესანსლეს ინგლისელი მოგზაურისა და მკვლევარის პერეს ფოსეტის შვიდი კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია.

ცნობილია, რომ ჩვენს დროში ხივარის ტომში 20 ათასზე მეტი კაცია. ისინი ძირითადად ცხოვრობენ მდ. ამაზონის ზემო წელში ეკვატორის ტერიტორიაზე, ამ ტომის ადამიანები ყველაზე უფრო დაუნდობლები არიან. აქ გავრცელებულია ადამიანისთვის თავის ქალის მოხდა. ხივარის ტომის გმირს ვინმე უტიტას თურმე 52 თავისქალა ჰქონდა დამზადებული. ეკვატორის მთავრობას უტიტა დაუპატიმრებია, მაგრამ რადგან არც ერთი მომჩივანი და მოწმე არ ყოფილა, ისევ გაუთავისუფლებია.

საინტერესოა, რომ კაციჭამია ტომები ჭამენ მხოლოდ მამაკაცს, ქალის ხორცს კი არ ეტანებიან. თუმცა ბრაზილიის ჯუნგლებში აღმოჩენილ გადაშენების გზაზე მდგარ ტინუკას ძალზე მცირერიცხოვან ტომში თურმე სიამოვნებით მიირთმევენ ქალის ხორცსაც. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ტინუკას ტომში გავრცელებულია მატრიარქატი — გაბატონებული მდგომარეობა ქალებს უკავიათ, ტომის ბელადია ქალი, ყველა ძნელ და მძიმე სამუშაოს მამაკაცები ასრულებენ, მათ არავითარი უფლებები არა აქვთ და მოვალე არიან შეასრულონ ცოლის ყოველგვარი განკარგულება.

ჯერ კიდევ სუსტად არის შესწავლილი მსოფლიოს მაღალმთიანი რაიონები, მეცნიერებს ძალზე ძუნწი ცნობები მოეპოვებათ ჰიმალაის და ტიბეტის ზეგნის შესახებ. 1971 წელს პერუს ანდებში (სამხრეთ ამერიკა) 3400 მეტრის სიმაღლეზე აღმოაჩინეს მეცნიერებისათვის სრულიად უცნობი ტომი, რომლის შესასწავლად პერუს მთავრობამ სპეციალური ექსპედიცია მოაწყო. ათიოდე წლის წინათ ავსტრალიის ცენტრალურ რაიონში აღმოჩენილ პუნტიბუს ტომს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა სამყაროზე, აქ გავრცელებული იყო პირველყოფილი ადამიანის ზნე-ჩვეულებები.

ნამდვილი სენსაცია იყო 1969 წელს ინდოეთის ოკეანეში მდებარე ანდამანის კუნძულზე სრულიად უცნობი ჯუჯა ტომის — ონგების აღმოჩენა. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ გეოგრაფიულად და კარტოგრაფიულად ინდოეთის ტერიტორია და თვით ინდოეთის ოკეანე მაღალ დონეზეა შესწავლილი. თურმე ონგების რიცხვი 200 კაცს არ აღემატება. ისინი გადაშენების გზაზე დგანან, არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მათი სანადირო და საომარი იარაღია მშვილდ-ისარი და ქვის ნაჯახი. მამაკაცებთან ერთად ნადირობენ ქალებიც. ონგეს ტომმა არ იცის, რა არის „შეუღლება", „ცოლი", „ქმარი", აქ ყველა ქალი ყველას ცოლია და ყველა კაცი ყველას ქმარია. ამიტომ შვილს ჰყავს მხოლოდ დედა.

საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე „თეთრი ლაქები", ყოველ შემთხვევაში, კარტოგრაფიული თვალსაზრისით, აღარ არის, შეიძლება ისინი არსებობდნენ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის გეგმაზომიერი შესწავლა დაიწყო 1918 წლიდან ლენინის ინიციატივით, როდესაც გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის სპეციალური დადგენილება ქვეყნის მთელი ტერიტორიის შესწავლის შესახებ. 1919 წლის 15 მარტს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით შეიქმნა სსრ კავშირის უმაღლესი გეოდეზიური სამმართველო. 1921 წლის 10 მარტს შექმნილი მოცურავე საზღვაო ინსტიტუტი სწავლობდა ჩრდილოეთის ზღვებს, 1932 წ. ეს ინსტიტუტი შეცვალა ჩრდილოეთის საზღვაო სპეციალურმა სამმართველომ.

ცნობილი საბჭოთა გეოგრაფის ნიკოლოზ გვოზდეცკის აზრით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მიუხედავად მისი უზარმაზარი ფართობისა, აღარ მოიპოვება არც ერთი ქედი, მდინარე, ტბა თუ კუნძული, რომელიც გეოგრაფიულად და მით უმეტეს კარტოგრაფიულად შესწავლილი არ იყოს. ამ მხრივ საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ქვეყნებს შორის გამონაკლისია.

ბრ. ზარდალიშვილი
პროფესორი



## მაიმუნი — მწყემსი

პავიანი ელზა დიდად დახელოვნდა თხების მწყემსვაში. გათენდება თუ არა, ამ მოუსვენარ ცხოველებს საძოვარზე მიერეკება. დღისით თხების ყარაულობისას ძაღლი ეხმარება. საღამოს მაიმუნს არვე უკან მოჰყავს ფერმაში. იგი არც ღამით ანებებს თავს ბეკეკებს — მათთან ერთად სძინავს ფარეხში. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ სუსტი ციკნები ძუძუს წოვებისას მოხერხებულად უჭირავს დედის მუცლის ქვეშ, ხოლო ახალშობილები „ხელში“ აყვანილი მიჰყავს შინ.



## სპილოს „ვენტილატორები“

ნიუ-იორკის ზოოლოგიური საზოგადოების სწავლულებმა ა. ბასმა და ა. ესტესმა სპეციალურად გამოიკვლიეს, თუ რა გავლენას ახდენს სითბოს მომატება-დაკლება სპილოს ყურების მოძრაობაზე. გამოირკვა, რომ როცა ჰაერის ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევს, სპილოს ყურები ამოძრავდებიან. მაგრამ როგორც კი ქარი ამოვარდება და ჰაერის ცირკულაცია საკმაოდ სწრაფი ხდება, ყურების მოძრაობა წყდება. წვიმების, განსაკუთრებით ძლიერი ქარის დროს სპილოს ყურები მჭიდროდ აქვს მიკრული თავზე.

ამრიგად, თუ უზარმაზარი აფრიკული სპილო თაკარა მზეში შეშლილივით სწრაფად ამოძრავებს ყურებს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი განრისხებულია და ადამიანზე თავდასხმას აპირებს. მას უბრალოდ სცხელა და თავისი „ვენტილატორები“ აქვს „ჩართული“.

## არაჩვეულებრივი მიკრონაკრძალი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნის კარიერში მელიები გამოჩნდნენ. ადგილობრივ მკვიდრთაგან უხუცესებსაც კი არ ახსოვთ, როდის „დაისაკუთრეს“ მელიებმა კარიერი. ისინი ისე მიეჩვივნენ ადამიანებს, რომ მათი გამოჩენისას არა თუ არ იმალებიან, პირიქით, ხალისით ეგებებიან მათ — ეგებ რაიმე სასუსნავი გამოვტყუოთო. ამ წითურ ეშმაკებს განსაკუთრებით თევზი უყვართ, რომელსაც პირდაპირ ხელიდან სტაცებენ ყოველდღილა მათთვის პირის ჩასატკბარუნებლით ხელდამშვენებულ მუშებს. ასე შეიქმნა ამ კარიერზე არაჩვეულებრივი ნაკრძალი.

## რა უნდა უყონ?

ათი წლის წინათ ფრანგებმა ინგლისში შეიძინეს ორსართულიანი ავტობუსები. სამწუხაროდ, პარიზელები საოცრად ზარმაცები აღმოჩდნენ: ცხრა წლის განმავლობაში მგზავრები ავტობუსების მხოლოდ ქვედა სალონით სარგებლობდნენ და არც ერთხელ — თვით „პიკის“ საათებშიც კი — არ გადაულახავთ ზედა, სრულიად ცარიელ სალონში ასასვლელი კიბის ცხრა საფეხური.

ერთი სიტყვით, ამ მანქანების შემდგომი გამოყენება არახელსაყრელია. რა უნდა უყონ? ქალაქის ხელისუფალთ ისღა დარჩენიათ, გაყიდონ ავტობუსები (თუ, რა თქმა უნდა, მყიდველი აღმოჩნდა) ან ტექნიკური საჭიროებისათვის გადააკეთონ, ან მუზეუმს ჩააბარონ, ანდა... ჯართად დაჭრან.




## მარტორქა უწყინარი ცხოველია

შავი მარტორქა საოცრად ბეცია — 20 მეტრს იქით ადამიანს ხის შტამბისაგან ვერ არჩევს. ზოოპარკში პირველად რომ ნახავ მარტორქას, ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს ეს-ესაა რქას ამოგკრავს. სინამდვილეში კი ეს ცხოველი ძალზე უწყინარია. ტყვეობაში მალე შინაურდება, შეგიძლია ზურგზე შეაჯდე და გაისეირნო. ძალიან უყვარს მოფერება. ხოლო მის რქას (რომლის მოსაპოვებლადაც ხოცავენ მარტორქებს) არავითარი სამკურნალო თვისებები არ გააჩნია. ეს დაამტკიცა [illegible] დღინედ ჩატარებულმა გამოკვლევამ.



## რამდენი ფოთოლი ასხია ხეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეძლო ერთმა დასავლეთ-გერმანელმა ბოტანიკოსმა, რომელმაც დაითვალა წიფლის ყველა ფოთოლი — 119 000! ფოთლების ზედაპირი 280 კვადრატულ მეტრს უდრიდა.

წიწვიან ხეებს გაცილებით მეტი ფოთოლი ასხიათ. მაგალითად, 60-70 სანტიმეტრი დიამეტრიანი ღეროს მქონე ფიჭვი 30-40 მილიარდ წიწვს ისხამს.



## უწონობაში შობილნი

„სოიუზ“ — „აპოლონის“ ერთობლივი კოსმოსური ფრენის დროს ამერიკულ ხომალდს ჰქონდა განსაკუთრებული ფისტონი, რომელშიაც მოთავსებული იყო თევზის 495 ქვირითი. ფრენის პერიოდში თითქმის ყველა ქვირითიდან გამოიჩეკა ლიფსიტა.

მიწაზე დაბრუნების შემდეგ ლიფსიტები დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ ორი ამერიკელი მეცნიერის მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებმაც აღმოაჩინეს ჯერჯერობით ამოუხსნელი მოვლენა: თუ „მიწიერი“ ლიფსიტები ყოველთვის ღრმად ცურავენ, კოსმოსურ ხომალდში შობილნი მხოლოდ წყლის ზედა ფენებში დასრიალებენ და არასოდეს ეშვებიან აუზის სიღრმისაკენ.

მეცნიერთა აზრით, „კოსმოსელ“ ლიფსიტებზე რაღაც გავლენა იქონია უწონობის პირობებში მათმა ხანგრძლივმა ყოფნამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი წიგნები

## მურმან ჯგუბურია

### ყოფილა, ყოფილა, რა ყოფილა!

პოეტმა მურმან ჯგუბურიამ ბავშვები მშვენიერი საჩუქრით გაახარა: გასულ წელს „ნაკადულმა" გამოსცა მისი ახალი წიგნი „ყოფილა, ყოფილა, რა ყოფილა..." კრებულში სულ ოცდახუთამდე ლექსია შეტანილი და ყოველი მათგანი იწყება სიტყვებით: „ყოფილა, ყოფილა, რა ყოფილა"... ესენი პატარ-პატარა გალექსილი ზღაპრებია, და რადგან ზღაპრის ასაკი განუსაზღვრელია, მათ სიამოვნებით წაიკითხავენ არა მარტო პაწიები, არამედ უფროსებიც.




ლექსების თემა ნაირფეროვანია: სამშობლოს სიყვარული, გმირული ისტორიული წარსული, სიკეთე, სამართლიანობა, ძმობა, მეგობრობა, დედაშვილობა... აი, მაგალითად, როგორ გააცოცხლა პოეტმა გმირი ქართველი ქალის სახე: „...ერთი ასული ყოფილა, იმ ასულს ლელა რქმევია, ძალზე ლამაზი ყოფილა, ლამაზი კაბაც სცმევია, გასჭირვებია ქვეყანას, თავზე დაგვსხმია მტერია, ქალი მორთულა ვაჟურად, ხელთ ხმალი დაუჭერია, ცხენდაცხენ ომში გასულა, მომხდური დაუფრენია".

ასეთივე ლაღი და სადა ქართულითაა დაწერილი კრებულში შესული სხვა ლექსებიც.

## შალვა გიგაშვილი

### პატარა რევკომელი

შალვა გიგაშვილი ღვაწლმოსილი მასწავლებელია, რომელიც შესანიშნავად იცნობს პატარების ცხოვრებას, მათ სულიერ სამყაროს. „ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის, ჩვენი მოზარდი თაობისა და დიდებული ქართული ენის სიყვარულმა მოთხრობებიც დამაწერინაო", — ამბობს მწერალი. და, მართლაც, როცა მის ახალ წიგნს წაიკითხავთ, რომელსაც „პატარა რევკომელი" ჰქვია, (გამომცემლობა „ნაკადული", 1977 წ.), მაშინვე დარწმუნდებით ავტორის სიტყვების გულწრფელობაში.

შ. გიგაშვილი დიდი სიყვარულით აგვიწერს პატარა შავლეგოს მამაცურ საქციელს: ცამეტიოდე წლის ბიჭი არ შეუშინდა ყინვასა და თოვლს, მარტოკა წავიდა მოშორებით მდებარე სოფელში, სამოცდაერთი ურემი დარაზმა, ტყეში ადრევე დამზადებული შეშით დატვირთა და რევკომში ჩამოიყვანა. ეს კი იმ დროს გმირობას უდრიდა — ის-ის იყო, საბჭოთა საქართველოს პირველი ახალი წელი უთენდებოდა.




ჩვენი ჟურნალის მკითხველებს უთუოდ მოაგონდებათ მოთხრობა „აფთიაქის ბიჭი", რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაიბეჭდა „პიონერში".

კრებულში შეტანილია სხვა საინტერესო მოთხრობებიც: „ძლევენი ტყის ძმებისა", „სახარე", „პანკრუტა", „ნობათი".

ეს წიგნი ბევრ სასიამოვნო წუთს განაცდევინებს ნორჩ მკითხველებს.

## იური იარმიში

### გზა და ბილიკები

იური იარმიში დღევანდელი უკრაინის ერთ-ერთი ცნობილი მწერალია. იგი ოსტროვსკის სახელობის რესპუბლიკური პრემიის ლაურეატია.

ახლახან გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა ი. იარმიშის იგავ-არაკების კრებული, სადაც მწერლის მიერ ბოლო წლებში დაწერილი ნაწარმოებებია თავმოყრილი.

ხალხური აზროვნების წიაღიდან ამოსული, შემდგომ მწერლის კრიტიკული გონებით გარდატეხილი, მის მიერ მხატვრულად გააზრებული სიბრძნე წუთისოფლისა, საოცრად ლაკონიურად და მიმზიდველად არის გადმოცემული პატარა არაკების სახით.

თქვენ, ცხადია იცნობთ სულხან-საბას, ეზოპეს, კრილოვის იგავ-არაკებს. მათი იგავ-არაკები საოცრად პოპულარულია. ი. იარმიშის იგავ-არაკების გმირები კი ჩვენი, ახალი ცხოვრების მონაწილენი არიან და ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. ამ იგავ-არაკებს ორი მისამართი აქვს — ისინი ისევე სასიამოვნო საკითხავია უფროსებისათვის, როგორც ბავშვებისათვის. წიგნის გმირებთან ერთად თქვენც დაეჭვდებით ბევრ რამეში, გაგეხარდებათ, გული გეტკინებათ. აბა როგორ არ გაიხსენებს თავს ზოგიერთი მოსწავლე, როცა სამელნის ამბავს წაიკითხავს: იმ სამელნემ ვეღარ გაუძლო კალამს — ასე წვეთ-წვეთად როდის დავიცლებიო და ზედ დაეღვარა ფურცელს. ანდა, რამდენი ვინმე შეიცნობს თავის თავს მოდას აყოლილ ტაბურეტში, რომელმაც აქაოდა სამფეხა სკამები შემოიღესო, საკუთარი ხელით წაიჭრა მეოთხე ფეხი.

წიგნი მიმზიდველი, ლაღი ქართულით არის ნათარგმნი თქვენთვის ცნობილი მწერლის თენგიზ გოგოლაძის მიერ.



კარის ანჯამა რომ მარჯვედ შეიზეთოს, ამისათვის ზედა ნაწილში პატარა ნახვრეტი უნდა გაუკეთო.

ტელეფონის ყურმილს ხშირად უფუჭდება ხოლმე ზედ მიერთებული ზონარი. ზონარი ყურმილში ღრმად შეუშვი და რომ არ გამოვარდეს, გარედან იზოლენტით დაამაგრე.

ბურთულიანი საწერკალმის ღეროს თუ ზამბარის დასამაგრებული არა აქვს, ნუ დაიბნევი, ადექი, პინცეტი გაახურე და ღეროს სადაც გინდა ნაჭდევები გაუკეთე.

ელექტროუთო შეგიძლია სავულკანიზაციოდ გამოიყენო. გაჭრილი ან გახეული ადგილი კარგად გაწმინდე, ზედ ხამი რეზინი დაადე, ამ რეზინს ზემოდან გაზეთი დააფარე და ცხელი უთოთი დააწექი (უთოზე სჯობს რაიმე სიმძიმე დადო, რადგან ვულკანიზაცია 10-15 წუთს მაინც გრძელდება). თვალი უნდა ადევნო, უთომ რეზინი არ დაწვას (რეზინმა დამწვრის სუნი არ უნდა გაუშვას).

მტვერსასრუტის ჯაგრისის ხის ნაწილი ლითონისაზე სჭვალით (შურუპით) არის მიმაგრებული, ასეთმა სამაგრმა მალე იცის მორყევა და მტვერსასრუტი იშლება. ადექი, სჭვალი მომჭერი ქანჩით შეცვალე და საქმეც გაჩარხული იქნება.

ხორცსაკეპი მაგიდაზე გაჭირვებით ერთდება ხოლმე ... აფუჭებს. სამაგრ თათებზე წებოთი (მაგ. წებო № 88) რეზინის ნაჭერი მიაკარი და მორჩა, თათები მაგიდაზე მტკიცედ მოიკიდებს პირს.













# სარჩევი


ჭუმბურიძე ზ. — დიდი ილია (წერილი) . . . . . 2
მარკოზაშვილი შ. — საქართველოს გოლგოთა (წერილი) . 4
ივარდავა დ. — თვეთა ყვავილი (ლექსი) . . . . 6
აგდალაძე გ. — მათი ხმაც მისწვდება (ნარკვევი) . . . 8
ლობჟანიძე დ. — მერცხლები ბუდეებს უბრუნდებიან (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . . 12
ასისი . . . . . . . . . . 16
გოსტოღანაშვილი გ. — ხმელა პურის გემო; შიში (მოთხრობები) . . . . . . . 19
ფაილოძე ნ. — მისამართი: ლენინის რაიონი, 159-ე სკოლა (წერილი) . . . . . . . 21
გჰიშამ საჰნი — რანი მეჰტო (ინდური ლეგენდის მიხედვით) 23
დიდიმამიშვილი ე. — მშობლიური გზებით (ლექსი) . 24
გეგეჭკორი არნ. — ჩვენი ტყეების ქომაგი (ბუნების კარი) 26
ანდრეევი ი. ჩხვლეტია მზეთუნახავი (წერილი) . . . 26
ზარდალიშვილი გრ. — მსოფლიო რუკის საიდუმლოებანი (წერილი) . . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 30
ახალი წიგნები . . . . . . . 31
საზრიანის ხელში . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . გარეკ. . 3
ყურადღება, სტარტზე! . . . გარეკ. . 3


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ზურაბ ფორჩხიძისა


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაძე (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 27/III-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/V-78 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 942. ტირ. 150.750. უე 08427.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



© „პიონერი“, 1978 წ.

# ყურადღება, სტარტზე!



## მეხუთე კომპლექსი



პირველი ვარჯიში: (ვარჯიშები სრულდება მსუბუქი ჰანტელებით, დასაწყისში თითოეული მოძრაობა გაიმეორე 4–6 ჯერ, შემდეგ შეგიძლია 8-მდე აიყვანო) მარცხენა ფეხი წინ გადადგი, ჰანტელებიანი მკლავები წინ გამართე, სხეულის სიმძიმე მარცხენა ფეხზე გადაიტანე; მარჯვენა უკან დატოვე. ჰანტელებიანი ხელები გაშალე. ახლა სიმძიმე მარჯვენა ფეხზე გადაიტანე და ხელებით მოძრაობა გაიმეორე. ტემპი მშვიდია, სუნთქვა ღრმა.

მეორე ვარჯიში. ფეხები მხრებზე ფართოდ გაშალე, ჰანტელები მხრებზე მიიდე, მერე წინ გადაიხარე და მარცხენა ხელი მარჯვენა ფეხთან მიიტანე. გაიმართე, ახლა მარჯვენა ხელი მარცხენა ფეხთან მიიტანე.

მესამე ვარჯიში. წინ გადაიხარე და ჰანტელებიანი ხელები გაშალე. უკან გადაიხარე და გამართული მკლავები მაღლა ასწიე, მერე მარჯვნივ გადაიხარე (მკლავები გამართულია). შემდეგ ეს მოძრაობა მარცხნივაც გააკეთე.

მეოთხე ვარჯიში. გამართული ჰანტელებიანი ხელებით წრე შემოხაზე, წინ გადაიხარე და ხელები ფეხქვეშ გაატარე. გაიმართე და წრე ახლა უკნიდან წინ შემოხაზე.

მეხუთე ვარჯიში. გულაღმა დაწექი და ჰანტელები ტერფებს-შორის მოიქციე. გამართული ფეხები მაღლა ასწიე, ნელა დაუშვი, თუ ფეხების გამართულად აწევა გაგიჭირდა, ფეხები მოხარე.





## დარეკეთ ტელეფონით

ჩემს მეგობარს შინ ტელეფონი დაუდგეს. ნომერი ვკითხე.

— ჩაიწერე, — მეუბნება ის და ნომრის ნაცვლად ასეთ რაღაცას მკარნახობს:

1. ტელეფონის ნომერი ხუთნიშნაა და ნოლი არ ურევია.

2. ლუწ რიცხვთაგან უმცირესი, საშუალო ლუწი რიცხვის (აბსოლუტური სიდიდის მიხედვით) მარცხნივ მდებარეობს.

3. უდიდესი კენტი რიცხვი ყველა ლუწი ციფრის მარცხნივ მდებარეობს.

4. კენტ რიცხვთა შორის განსხვავება აჭარბებს უმცირეს ლუწ რიცხვს.

5. შუა (აბსოლუტური სიდიდის მიხედვით) ლუწი ციფრი, უმცირეს კენტ ციფრზე მცირეა.

6. რიცხვში კენტი ციფრები ლუწ ციფრებზე მეტია.

7. უმცირესი ლუწი ციფრი უდიდესი კენტი ციფრის მარჯვნივ მდებარეობს.

8. უდიდესი ლუწი ციფრი საშუალო (აბსოლუტურ სიდიდის მიხედვით) ლუწი ციფრის მარჯვნივ მდებარეობს.

9. უმცირესი კენტი ციფრი უდიდეს ლუწ ციფრზე ნაკლებია.

მე ამისა ვერაფერი გავიგე. იქნებ თქვენ დამეხმაროთ და მითხრათ, რა ნომერი იქნება ჩემი მეგობრის ტელეფონი?

### პასუხი № 4-ში დაბეჭდილ ცხრაკლიტულზე

ვერტიკალურად — no; ШВЕУЛАД

ვერტიკალურად: 1. სოფია; 3. ირისი; 4. ხოვლე; 5. რიონი; 9. ნილოსი; 10. ივლისი; 13. აგური; 14. ლურჯი; 16. ხერხი; 17. ნიანგი; 18. ლაწვი; 19. აკაცია; 21. წიგნი; 24. აკაკი; 25. ავაზა; 26. აზოტი; 27. გლობუსი; 28. ჰადრაკი.

თარაზულად: 2. ფეხბურთი; 6. ერთი; 7. სიცილია; 8. ინგლისი; 11. სარცხი; 12. ილბალი; 15. ბიბლია; 17. ნიბლია; 20. ტარიელი; 22. კოლონია; 23. გვარჯილა; 29. თვალი; 30. დათვი; 31. მარხი; 32. ეკალი; 33. ბათუმი; 34. ორდენი; 35. ანკესი; 26. აფრიკა.

### როდის შედგება შეხვედრა

შეხვედრა შედგება 15 დღის შემდეგ, ანუ 20 თებერვალს.

ჩ 37/95



ფოტო
რ. რუჯკიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕК 76157

## სიმონ შამურიანი

ცის დასავალთან
თითქოს ნალმივით
აფეთქებულა მზე საყვარელი;
ზღვა კი ლივლივებს
ბორგვით დაღლილი,
შვენის მიწის და ზეცის არილი.

აქ არასოდეს
იმეფებს ბინდი,
აქ მარადია ფერი მზიანი.
ზღვა არის ახლა
ისეთი მშვიდი,
ვით ფიქრი კეთილ ადამიანის.